ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 5 ივლისი, 2016 №157 (7083) ფასი: 50 თეთრი

## „ნაციონალებმა რამდენიმე პარტია გადაიბირეს“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „არჩევნების დღეს სააკაშვილი სარფში იქნება“



გვ.3

5 ივლისიდან

ალექსანდრე დიუმა

დედოფალი მარგო

მთელი რომანი ერთ წიგნში!

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი




# ახმედ ზაქაევი: „ჩატაევი რუსულ სპეცსამსახურებზე მუშაობს“



გვ.2

„სტამბოლის ტერაქტის უკან რუსეთი დგას“




## გია ვოლსკი: „ჩატაევი სააკაშვილის ბრიგადაში აღმოჩნდა“



გვ.2

„ლევან ვარშალომიძის გამოჩენა არათუ პოზიტიურს, ნეგატიურსაც კი არ უკავშირდება“



## გიგი წერეთელი: „ქართული ოცნება“ პარანოიდულ ფაზაშია“



გვ.5

რაზე ევაჭრება ევროპის სახალხო პარტია რუსეთს

## „სულხან მოლაშვილს სააკაშვილის კორუფცია ჰქონდა გამოძიებული“

ნანა კაკაბაძე: „მოვითხოვთ მისი მწამებლების დასჯას“




გვ.4

## კახა კუკავა: „ეს ხელისუფლება სულხან მოლაშვილის მწამებლებს არ დასჯის“



გვ.6

„სააკაშვილმა საკუთარი თავი ამხილა“

ISSN 1987-9385

## ვახტანგ მაისაია: „ლაფანყურის ოპერაციის გამოძიება დასრულებულია“



## მაგთიკომმა LTE ქსელით საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 90%-ზე მეტი დაფარა

მაგთიკომი MAGTICOM

2016 წლის 31 მაისს მაგთიკომის მიერ შეძენილი 800 MHz სიხშირეთა სპექტრის სალიცენზიო პირობა ითვალისწინებს 5 წლის ვადაში ქვეყნის დასახლებული, კონტროლირებადი ტერიტორიის 90%-იან დაფარვას.

მაგთიკომმა 800 MHz ლიცენზიის მიღებიდან 1 თვის თავზე, ამ კუთხით წინსწრებით არა მხოლოდ სალიცენზიო ვალდებულებები შეასრულა, არამედ კიდევ უფრო წინწასული ტექნოლოგიით 4.5G, იგივე LTE-Advanced ქსელი შესთავაზა ქვეყანას.

**დღეისათვის მაგთიკომი ერთადერთი მობილური ოპერატორია ქართულ ბაზარზე, რომელიც ორი სიხშირული სპექტრის (LTE 800 და LTE 1800) კომბინაციით, მომხმარებელს 4.5G (LTE-Advanced) ქსელს და უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს, მკვეთრად გაზრდილი ინტერნეტსიჩქარით და სიგნალის შეღწევადობით.**

# გია ვოლსკი: „ჩატაევი სააკაშვილის ბრიგადაში აღმოჩნდა“

## „ლევან ვარშალომიძის გამოჩენა არათუ პოზიტიურს, ნეგატიურსაც კი არ უკავშირდება“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **გია ვოლსკი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო გია, ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ჩატაევის ციხიდან განთავისუფლება არის მოქმედი ხელისუფლების ბრალი. რას უპასუხებთ თქვენს ოპონენტებს და რეალურად რატომ მოხდა მისი განთავისუფლება?***

— იმიტომ, რომ რეალურად დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები არ იყო აღმოჩენილი. დანაშაულში მისი მონაწილეობა არ დადასტურდა. შეიძლება ნებისმიერი ადამიანი დღეს არ იყოს დამნაშავე და ხვალ აღმოჩნდეს დამნაშავე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის გუშინ უნდა დაიჭირო, როცა დანაშაული არ ჩაუდენია. ჩვენ დღესაც არ ვიცით გარკვევითა და დადასტურებით, რომ ჩატაევი მონაწილეობდა ან ორგანიზება მოახდინა თურქეთის ტერაქტის.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, რატომ გათავისუფლდა, მე როგორც ვიცი, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რადგან ვერ აღმოაჩინა დანაშაულების ნიშნები, პატიმარი გაეთავისუფლებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება უკანონო პატიმარი ყოფილიყო, ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რამდენადაც მე ვხვდები.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჩატაევი სააკაშვილის ხელისუფლებას ემსახურებოდა და მისგან დავალებებსაც იღებდა.***

— ფაქტია, რომ ჩატაევი წინა ხელისუფლებას ემსახურებოდა. ასევე ფაქტია, რომ რაღაც საგანგებო დავალებებს ასრულებდა. ფაქტია, რომ დაიჭრა და ხელთან ერთად ფეხიც დაკარგა. ასევე ფაქტია, რომ ავსტრიამ მას პოლიტიკური თავშესაფარი მიანიჭა, შესაძლოა ამ პოლიტიკურმა კონიუნქტურამაც იმოქმედა იმდროინდელი პროკურატურის გადაწყვეტილებაზე. ეს საკითხი შესწავლას მოითხოვს და თუ ვინმეს დამატებითი ინფორმაცია ან მასალები აქვს, მან ეს დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს პროკურატურას, ამაში ვეთანხმები თეა წულუკიანს.



ჩატაევის საკითხთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაციაა მისაღები, უფრო მეტი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ მისი საქმიანობა კონკრეტულ დანაშაულს დაუკავშირდეს. შეიძლება იმაში, რომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა, კრიმინალური საქმიანობა არ იკვეთებოდეს. ფაქტია, რომ ჩატაევი არის ადამიანი, რომელიც წინა ხელისუფლებისთვის მუშაობდა. ასევე ფაქტია ისიც, რომ ჩატაევი რუსეთსაც ჰყავდა დაკავებული, უკრაინასაც და საბოლოოდ სააკაშვილის ბრიგადაში აღმოჩნდა.

***— ჩატაევის გაშვება იყო შეცდომა?***

— გამოძიებას, როგორც ჩანს, არ ჰქონდა საკმარისი მტკიცებულება, რომ ჩატაევის ბრალეულობა დაემტკიცებინა და ის კრიმინალში ემხილა. მე მეტი ინფორმაცია არ მაქვს ამ საკითხზე. შეიძლება მაშინ ავსტრიასაც ვკითხოთ, რატომ მიანიჭა პოლიტიკური თავშესაფარი? ან რატომ გაუშვა უკრაინამ? რატომ გაუშვა რუსეთმა? სააკაშვილი მოგვიწოდებს დღეს, რომ არ უნდა გამოგვეშვა ციხიდან, მაგრამ აქ არაფერი არ არის უცნაური, ეს სააკაშვილის სტილი და დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. სააკაშვილი ნებისმიერ ადამიანს ჩასვამს ციხეში ისე, რომ არც კი აინტერესებს, დანაშაული აქვს ამ ადამიანს ჩადენილი თუ არ აქვს ჩადენილი.

***— ბატონო გია, უნდა მოხდეს თუ არა სააკაშვილის დროინდელი ჩინოვნიკების, სპეცსამსახურის წარმომადგენლების დაკითხა აღნიშნულ საქმეზე? ლაფანყურის სპეცოპერაცია გამოძიებული არ არის და საზოგადოებამ დღესაც არ იცის, რეალურად რა მოხდა იქ.***

— გეთანხმებით, თუ რა მოხდა ლაფანყურში, საზოგადოებამ ამის შესახებ არ იცის, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიება ამას დაადგენს.

***— რატომ ჭიანურდება გამოძიება, ეს ხომ არ იყო რიგითი საქმე?***

— ბევრი ადამიანი, რომელსაც აქვს ინფორმაცია სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყანაში არ იმყოფება და მიმალვაშია. თავად სააკაშვილიც ძალიან მნიშვნელოვანი მოწმეა, ყველაზე მეტი ინფორმაციის მატარებელია და ყველაზე მეტი ინფორმაციის



მომწოდებელიც იქნებოდა, მაგრამ მას ამის სურვილი არ გააჩნია. პროკურატურას ცოტა გაუჭირდება, თუმცა, მე არ ვიცი, რა ეტაპზეა გამოძიება და რა დონეზე აქვს მათ ინფორმაცია მიღებული.

***— ნაციონალური მოძრაობა 8 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებას აპირებს, როგორც ისინი აცხადებენ, ეს ლევან ვარშალომიძის საქართველოში დაბრუნებით დაიწყება. რა შანსები აქვს საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას?***

— საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, მათ შორის თქვენი გაზეთის რედაქციასაც შემიძლია დავპირდე, რომ ვარშალომიძეს შეუძლია მხოლოდ 300 ადამიანის გამოყვანა და აჟიოტაჟის მოწყობა, მას მეტი არაფერი შეუძლია. ლევან ვარშალომიძის პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩენა არათუ რაიმე პოზიტიურს, მე ვიტყოდი, ნეგატიურსაც კი არ უკავშირდება. ვარშალომიძის გამოჩენა არაფერს მოუტანს ნაციონალურ მოძრაობას. ის ყოველთვის იყო პიროვნება, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა მთელ მათ გუნდში.

***— ისინი ამბობენ, რომ ის პროცესები, რომლებიც ვარშალომიძის გამოჩენას ახლდა, მათი გამარჯვების საწინდარია.***

— ე.ი. ძალიან ცუდად ჰქონიათ საქმე. თუ ჰგონიათ, რომ ვარშალომიძის გამოჩენით გამარჯვებას მოიპოვებენ, გამოდის, არათუ ფლუსტრაციაში არიან, არამედ სერიოზული პრობლემა აქვთ რეალობის აღქმის.

***— დღეს პოლიტიკურ ავანსცენაზე მხოლოდ ორი პარტიის „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის არსებობა რაზე მიანიშნებს, შეიძლება საზოგადოებამ იფიქროს, რომ თქვენ ერთმანეთი გაწყობთ?***

— არა, ასე ნამდვილად არ არის. რატომ უნდა გვაწყობდეს ერთმანეთი ან ჩვენ რატომ უნდა გვაწყობდეს ნაციონალური მოძრაობა?! ასე ნამდვილად არ არის. ეს არის არჩევნების შედეგი. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამოჩნდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც არიან პოლიტიკურ ავანსცენაზე და ისინი საკმაოდ აქტიურები არიან. მართალია, ეს ძალები თავის დროზე კოალიციის შემადგენლობაში იყვნენ, მაგრამ დღეს არიან, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალები და ისინი ძალიან აქტიურები არიან.

***— მაჟორიტარ კანდიდატებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, გასაგებია, რომ მათ ვინაობას დღეს არ გვეტყვით, მაგრამ თუ შეგიძლიათ გვითხრათ, ვისზე გაკეთდა აქცენტი, პროფესიონალებზე თუ ცნობად სახეებზე?***

— რატომ არ გეტყვით, რომ ვიცოდე, აუცილებლად გეტყოდით. პროფესიონალიზმი, მაღალი კვალიფიკაცია არ არსებობს ცნობადობის გარეშე, ამდენად, ერთი მეორეს ნამდვილად არ გამორიცხავს.

# ახმედ ზაკაევი: „ჩატაევი რუსულ სპეცსამსახურებზე მუშაობს“

## „სტამბოლის ტერაქტის უკან რუსეთი დგას“

შორენა მარსაგიშვილი

უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ სტამბოლში მომხდარი ტერაქტის უკან ახმედ ჩატაევი დგას. ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, ჩატაევი „ქართულმა ოცნებამ“ გაუშვა ციხიდან და ტერაქტის შედეგებზე მანაც უნდა აიღონ პასუხისმგებლობა. ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი ახმედ ზაკაევი მომხდარში რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს.

დევნილობაში მყოფმა ზაკაევმა „ეხო კავკაზთან“ საუბარში განაცხადა, რომ ჩატაევი დიდი ხანია, რაც რუსეთის სპეცსამსახურებზე მუშაობს.

— მე აბსოლუტურად ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ყველა ტერაქტის უკან, რომელიც თურქეთში რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების და რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ მოხდა, რუსული სპეცსამსახურები დგანან. პრინციპში, პუტინი ამას განსაკუთრებულად არც მალავს. მათ განაცხადეს, რომ „მათი ქმედებები თვითმფრინავის ჩამოვარდნის საპასუხოდ მარტო პამიდვრის აკრძალვით“ არ შემოიფარგლება და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო აფეთქებების სერია, — ამბობს ჩეჩენთა ყოფილი ვიცე-პრემიერი.

ზაკაევი დარწმუნებულია, რომ მომავალში თურქეთში ტერაქტებს აღარ უნდა ველოდოთ. ამის თქმის საფუძველს მას ვლადიმერ პუტინის ერთ-ერთი ბოლო განცხადება აძლევს.

— ბოლო ტერაქტზე ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ პუტინმა ერდოღანთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ ის თურქეთში ტურიზმზე მოქმედ აკრძალვას გააუქმებს. ჩემი მოსაზრებით, ეს მიუთითებს, რომ პუტინის დავალებით, რუსული სპეცსამსახურები მომავალში მსგავს ტერაქტებს აღარ განახორციელებენ, თუმცა ესეც საეჭვოა.



ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ მომხდარის შემდეგ ყველა ქვეყანამ თავის მოქალაქეებს თურქეთში გამგზავრებაზე სიფრთხილით მოკიდებისკენ მოუწოდა. მხოლოდ რუსეთმა და პუტინმა განაცხადეს, რომ ახლა იქ გამგზავრება უსაფრთხოა. ის ან რუსეთის მოქალაქეებში ეძებს ახალ მსხვერპლს და ამით თავის კვალის დაფარვას ცდილობს, ან უნდა, რომ ერდოღანი დაარწმუნოს, რომ მისი მოკავშირეა, — აღნიშნა ზაკაევმა.

მისი თქმით, შემთხვევითი არც ისაა, რომ ტერაქტში ჩეჩნურ კვალზე პირველად რუსული ტელევიზიები ალაპარაკდნენ, შემდეგ კი ის რუსეთის მიერ დაფინანსებულმა თურქულმა გაზეთმა გაავრცელა.

ზაკაევი ამტკიცებს, რომ ტერაქტის ორგანიზატორად შერაცხული ჩატაევი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს.

ყოფილი ვიცე-პრემიერი 2012 წელს საქართველოში, ლაფანყურში ჩატარებულ სპეცოპერაციასაც იხსენებს.

— ცალსახაა, რომ ლოპოტაში მომხდარი ოპერაციის, ამ ტრაგედიის უკან რუსული სპეცსამსახურები იდგნენ, — აცხადებს ზაკაევი.

მისი თქმით, მათ ჰქონდათ სურვილი რამენაირად დაკავშირებოდნენ ჩატაევს და მისგან რაღაცები გაეგოთ.

— დროის გარკვეული პერიოდი მან ქართული ციხის იზოლატორში გაატარა. ამ დროის მანძილზე მასთან დალაპარაკების შესაძლებლობა არ მოგვეცა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან საქართველო დატოვა და მასთან კავშირის დამყარება ველარ მოვახერხეთ, — ამბობს დევნილობაში მყოფი ყოფილი მაღალჩინოსანი.

მართალია, ის ჩატაევს რუსეთის სპეცსამსახურებთან აკავშირებს, მაგრამ დანამდვილებით უჭირს იმის მტკიცება, რომ სტამბოლის ტერაქტი ჩეჩნებმა მოაწყვეს. ამბობს, რომ ამის დამამტკიცებელი ფაქტები არა აქვს. ფაქტების უქონლობის გამო ის ვერც იმას ამტკიცებს, რომ მომხდარში ჩეჩნების ხელი არ ურევია.

* * *

სანამ ზაკაევი ფაქტებს ეძებს, საქართველოს ხელისუფლებამ მომხდარზე პასუხისმგებლობა ნაციონალებს და ავსტრიას დააკისრა. „ქართული ოცნების“ განმარტებით, ჩატაევი ავსტრიის მოქალაქე იყო და საქართველოში ის წინა ხელისუფლებამ ჩამოიყვანა.

მის მოქალაქეობასთან დაკავშირებით ბევრი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია არსებობს. როგორც ამბობენ, მას კიდევ რამდენიმე ევროპული ქვეყნის მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული.

ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა კადიროვის ხელისუფლებამაც. ჩეჩნეთის შს მინისტრის მოადგილე აბუფეტ მუხადინოვის განცხადებით, ჩატაევი იყო წარმოშობით ჩეჩენი, ცხოვრობდა საქართველოში, მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და 2015 წელს გაემგზავრა სირიაში.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალებმა რამდენიმე პარტია გადაიბირეს“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „არჩევნების დღეს სააკაშვილი სარფში იქნება“

შორენა მარსაგიშვილი

არიან თუ არა „ქართულ ოცნებაში“ მოღალატეები, რატომ გააქტიურდა სანდრა რულოვსი, რას აპირებს სააკაშვილი არჩევნების დღეს, ვინ გადაიბირა ნაციონალურმა მოძრაობამ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– უკვე დიდი ხანია ვსაუბრობ იმაზე, რომ ნაციონალები სერიოზული არეულობისთვის ემზადებიან. ამის ნათელი დადასტურება პოლიტიკურ ველზე სანდრა რულოვსის გამოჩენაა. 3 ივლისს ის სხვა ნაციონალებთან ერთად დახვდა ლევან ვარშალომიძეს და განაცხადა, მალე მიშაც ჩამოვაო. დიდი ალბათობით სანდრა რულოვსიც იმ რევოლუციის ერთ-ერთი მებაირაღე იქნება, რომელიც ყოფილ ხელისუფლებას დაანონსებული აქვს.

***– ვარშალომიძის დაბრუნება ახსენეთ. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მას დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ. თქვენი აზრით, მათ ამით რისი თქმა უნდოდათ?***

– ზარ-ზეიმი იმიტომ მოაწყვეს, რომ ქვეყანაში შეიქმნას ილუზია, თითქოს ხალხს უხარია ნაციონალების დაბრუნება. ლევან ვარშალომიძე სისხლიან საქმეებში არასდროს ყოფილა ჩართული. საარჩევნო სიის პირველი ათეულიც ასეთი ხალხისგან დააკომპლექტეს, მაგრამ ამით ვერავის მოატყუებენ. გერმანიაში თავის დროზე ნაცისტური პარტია მთლიანი შემადგენლობით გაასამართლეს. კულტურის მუშაკებს, რომლებიც რეჟიმს მხარს უჭერდნენ, თავები გადაპარსეს.

ლევან ვარშალომიძეს თავად არავინ მოუკლავს, მაგრამ არც ფრთიანი ანგელოზი არ არის. მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს აჭარაში არაერთი მიტინგი დაარბიეს, არაერთი ადამიანი მოკლეს და უამრავ ადამიანს წაართვეს ქონება. ნაციონალები ამაოდ ცდილობენ მისი სახით აჭარის რეგიონის მხსნელის გმირი შექმნან. ახლო მომავალში კიდევ ვილაცებს გამოაჩენენ და შეეცდებიან საზოგადოებას დაუმტკიცონ, რომ შეიცვალნენ.

***– იქნებ მართლა გადაწყვიტეს შეცვლა. მიხეილ სააკაშვილმა თქვა, შურისძიებაზე უარს ვიტყვითო.***

– სააკაშვილს როგორ უნდა დაუჯეროს კაცმა საერთოდ? მაგას რომ თავი დავანებოთ, სხვა ნაციონალები პირდაპირ და ღიად იმუქრებიან სამაგიეროს გადახდით. ამ პარტიის წარმომადგენლები სასამართლო პროცესებზე დადიან და მათ მიერ დახოცილი ადამიანების ახლობლებს ემუქრებიან. პირდაპირ ეუბნებიან, დავბრუნდებით და ნახავთ, რას გიზამთო. ეჭვიც არ მეპარება, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში უარეს საშინელებებს ჩაიდენენ. მათი დაბრუნების საფრთხე კი საკმაოდ რეალურია.

***– ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მათ ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ და ხელისუფლებაში ველარასდროს დაბრუნდებიან.***

– ხალხის მხარდაჭერა ნამდვილად არ აქვთ, მაგრამ არსებობს არაერთი მაგალითი იმისა, რომ უცხო ქვეყნების დახმარებით ძალაუფლება იმ ძალებს ჩაუგდიათ ხელში, რომლებიც ხალხის მხარდაჭერით არასდროს სარგებლობდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ დღეს მთელი რიგი სახელმწიფო ინსტიტუტები პირდაპირ სააკაშვილზე მუშაობენ. ამ მხრივ გამორჩეულები არიან პრეზიდენტის ადმინისტრაცია და სახალხო დამცველის ოფისი. არასამთავრობოებზე უკვე ალარაფერს ვამბობ.

პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია ცალკე მინდა გამოვყო. ეს ინსტიტუტი უკვე ღიად ლობირებს ნაციონალურ მოძრაობას. გიორგი მარგველაშვილმა გიგი წერეთელს რომ დაუჭირა მხარი, ამაზე მეტი გამოვლინება რაღად გინდა. ამას თავი დავანებოთ, ვინც კი „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდა, პრეზიდენტმა ყველა თავისთან დაასაქმა.

***– ვისზე საუბრობთ?***

– კახა კოჟორიძით დაწყებული, ანა დოლიძით და ეკა მიშველაძით დამთავრებული. მარგველაშვილი რომ ნაციონალებს უჭერდა მხარს, ვიცოდი, მაგრამ გიგი წერეთლის მხარდაჭერით ოფიციალურად დაადასტურა, რომ მათ დაქვემდებარებაშია.

გიგი წერეთლის ეუთოს ხელმძღვანელად არჩევა ქვეყნისთვის ხიფათის შემცველია. ნაციონალებს ჯერ ისედაც აკლებული აქვთ ევროსტრუქტურები და მათი კაცი რომ იქ მაღალ თანამდებობაზე გავიდეს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება. არც ის დაგვავიწყდეს, რომ საპარლამენტო არჩევნებზე ეუთოს დამკვირვებლებიც ჩამოდიან. წარმოდგენაც კი არ მინდა, რა სურათს დადებს არჩევნებთან დაკავშირებით ეუთო, რომელსაც ნაციონალმა უნდა უხელმძღვანელოს. მარგველაშვილი კი ყველაფერს აკეთებს, რომ ეს კაცი მაღალ თანამდებობაზე გავიდეს.

ნაციონალებს თავიანთი სატელიტები რომ ჰყავთ, ეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ისინი სხვა პარტიების გადაბირებაზეც მუშაობენ და დიდი ალბათობით მათი ნაწილი უკვე ნაყიდი ჰყავთ.

***– რომელ პარტიებზეა საუბარი?***

– ოპოზიციურ პარტიებზეა საუბარი. ნაციონალებმა იციან, რომ მათ ხალხი მხარს არ უჭერს. ისიც კარგად იციან, რომ ამომრჩევლის დიდი ნაწილი არჩევნებზე მისვლას არ აპირებს და აქედან გამომდინარე, პარლამენტს მიღმა ბევრი პარტია დარჩება. რევოლუციის მოსაწყობად ნაციონალები ისეთი პარტიების გადაბირებას ცდილობენ, რომლებიც ხალხში მათ სატელიტებად არ აღიქმებიან.

***– იქნება მაინც დააკონკრეტოთ, რომელ პარტიებზეა საუბარი? ოპოზიციური პარტიები პარლამენტშიც არიან და მის გარეთაც.***

– მუშაობა ორივე მიმართულებით მიდის. ზოგს ფულს შესთავაზებენ, ზოგს კომპრომატებს დაუდებენ. ასეთი რამეები კარგად გამოსდით. თავის ქება არ მინდა, მაგრამ რაც კი პროგნოზი გავაკეთე, ყველა გამართლდა. გამონაკლისი არც ეს იქნება.

***– პროგნოზს თუ აკეთებთ, ბარემ დაასახელეთ ეს პარტიებიც.***

– მოდით, კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, რადგან ეს ლუსტრაციის პროცესისთვის იქნება დამაზიანებელი. დამატებით იმას გეტყვით მხოლოდ, რომ მუშაობა დეპუტატებთანაც მიდის. იმ დეპუტატების გადაბირებას ცდილობენ, რომლებსაც მომავალ პარლამენტში მოხვედრის თეორიული შანსიც კი არ აქვთ.

***– არც ამ დეპუტატების ვინაობას დაასახელებთ?***

– დასახელება რად უნდა, გადახედეთ განცხადებებს. საუბარია იმ ხალხზე, ვინც ეს 4 წელი პარლამენტში კარგად გამოიზამთრეს, ფულები აითვისეს და ახლა აღმოაჩინეს, რომ ბიძინა ივანიშვილი თურმე ჩრდილიდან და ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას. აქამდე ეს კითხვები საერთოდ არ გასჩენიათ. ასეთი განცხადებების გამკეთებლებისგან საერთოდ არ გამიკვირდება, რომ ნაციონალების ბანაკში აღმოჩნდნენ.

ამ ბანაკში იქნება ის ხალხიც, რომლებიც თან იმას გაიძახიან, ხელისუფლებას კოაბიტაციაზე უარი უნდა ეთქვა და სამართლიანობა აღედგინაო და ამ დროს რუსთავი 2-სა და საკონსტიტუციოს უჭერენ მხარს. ამათ რომ უსმინო, მიშას მიერ დანიშნული საკონსტიტუციოს მოსამართლეები ყინწვისის ანგელოზები არიან, ხოლო საქალაქოში და სააპელაციოში ტარტაროზები სხედან. ღმერთმა არ ქნას და, ეს ხალხი ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, ესენი დასჯიან დამნაშავე ნაციონალებს? გამორიცხულია.

***– დასჯით არც „ქართულ ოცნებას“ დაუსჯია ნაციონალები.***

– როგორ არ დასაჯეს? მთავარი დამნაშავეები ციხეში არიან. სააკაშვილზე ძებნა არის გამოცხადებული. ეს ყველაფერი მოხდა იმ დროს, როცა „ოცნებაზე“ ნაციონალების ლობისტები არნახულ ზეწოლას ახორციელებდნენ. სამართლიანობის აღდგენის ტემპებით არც მე ვარ კმაყოფილი, მაგრამ ერთი რამე ყველამ უნდა გაითვალისწინოს – კოაბიტაცია ნაციონალების მიერ მოგონილი არ არის. ჩვენ წინ ძალიან დიდი ლუსტრაცია და იმედგაცრუებები გველოდება. საზოგადოება ერთხელ და სამუდამოდ დაინახავს პოლიტიკური ძალების ნამდვილ სახეს.

სააკაშვილი სერიოზულად ემზადება ოქტომბრისთვის. გადაწყვეტილი ამბავია, რომ არჩევნების წინა დღეს ის უკვე იქნება სარფში. ის საქართველოს საზღვარს არ გადმოლახავს და იქიდან უხელმძღვანელებს პროცესებს. ის რამდენჯერმე ჩაერთვება პირდაპირ ეთერში და ასე გაამხნევებს მხარდამჭერებს. შექმნის იმის ილუზიას, რომ საჭიროების შემთხვევაში შემოვა საქართველოში.

***– შემოსვლით შემოვა?***

– მოვლენების განვითარებას გააჩნია. ძალაუფლების დასაბრუნებლად ყველაფერზე წავლენ. სცენარი უკვე დაწერილია. სააკაშვილის მითითებით, პროცესებში აქტიურად ჩაერთვებიან შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები. საუბარია იმ ხალხზე, რომლებიც ნაციონალებს სხვადასხვა მეთოდებით ჰყავთ დაკმაყოფილებული. მათ დავალება აქვთ, არჩევნების შემდეგ ცეკვა-სიმღერით გაახარონ ქუჩაში გამოსული ხალხი.

ამისთვის გამოყოფილია სათანადო თანხები. პროცესებში ჩაერთვებიან არასამთავრობოებიც და ის პარტიებიც, რომლებიც მის სატელიტებად არ აღიქმებოდნენ. დაიხატება სურათი, რომ მთელი საზოგადოება ქუჩაშია გამოსული და არჩევნების შედეგებს აპროტესტებს. სააკაშვილს ისე უნდა ხელისუფლებაში დაბრუნება, სანდრა რულოვსი გამოუშვა პოლიტიკაში. ცოტა ხანში ეგ მზია ბებოს და შვილებსაც ჩართავს პროცესებში.

ხელისუფლება მოღალატეებისგან თუ არ გათავისუფლდა და ამ პროცესებს მომზადებული არ დაუხვდა, შესაძლოა, ყველაფერი თავზე დაემხოთ. ზვიად გამსახურდიაც და შევარდნაძეც მოღალატეებმა დაამხეს.

არც ის საერთაშორისო მხარდაჭერა უნდა დავივიწყოთ, რომელიც ნაციონალებს აქვთ. დღეს ევროპაში პოლიტიკურ ამინდს ევროპის სახალხო პარტია ქმნის. ეს პარტია ნაციონალებს კრუხივით ჰყავს გადაფარებული. მათი წყალობით ლამისაა მერაბიშვილის და უგულავას ხატი დაიწეროს. ამ დროს „ოცნება“ მოღალატეებით არის სავსე.

***– „ქართული ოცნების“ შიგნით მოღალატეები არიან?***

– კაცი ყველა პარტიას რომ მოივლის, მოღალატეა, აბა რა არის? ერთი და ორი პარტია რომ გამოიცვალა, „ქართულ ოცნებას“ რატომ ვერ ულალატებს ვითომ? იმედია, კარგად გადახედავენ საკუთარ შემადგენლობას და საეჭვო ხალხისგან გათავისუფლდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება თუ შეიცვალა, პასტას ვერ გააგდებინებს მათ პროკურატურა. ნაციონალებზე რომ ქილიკობენ, ურჩევნიათ, თავიანთი გუნდის წევრების ერთგულებას მიხედონ.

ისიც უნდა იცოდნენ, რომ პარტიაში ყველას შეშვება არ შეიძლება. პარტია დასავაჟკაცებელი დაწესებულება არაა, რომ ყველა გამოუცდელი აქ მიიღონ. თუ არ უნდათ ამ რჩევების გათვალისწინება, მაშინ გამსახურდიას და შევარდნაძის ხელისუფლების ბედს გაიზიარებენ.



**„ქართულ ოცნებაში“ მოღალატეები არიან“**

# დავით უსუფაშვილი: „ეჭვი არ მეპარება, რომ კორცხელში ცემა-ტყეპა პოლიტიკურ ნიადაგზე იყო“



ეჭვი არ მეპარება, რომ კორცხელში ცემა-ტყეპა პოლიტიკურ ნიადაგზე იყო და არა ფულის ან შეყვარებულის გაყოფაზე, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ მიერ კორცხელში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშის კომენტირებისას აღნიშნა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად ცხარე დებატები ამ ტიპის ვანდალურ აქტებში რომ არ გადაიზარდოს, პარლამენტმა მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის ინიციატივით კანონში უპრეცედენტოდ მკაცრი ზომები ჩადო, რომლის მზიანია, „საარჩევნო კამპანის დროს ვიყოთ არა მხოლოდ ფრთხილად, არამედ სუპერ ფრთხილად“.

**დავით უსუფაშვილი:**

– რაც შეეხება იმას, რაც მოხდა და რაც ვნახეთ, ეჭვი არ მეპარება, რომ იქ ცემა-ტყეპა იყო პოლიტიკურ ნიადაგზე. იქ ფულის ან შეყვარებულის გაყოფაზე არ იყო ჩხუბი. რაც ვნახეთ, ის იყო პოლიტიკურ ნიადაგზე. ამას არ ვიცი რა დიდი დასკვნა სჭირდება, რომ დიახ, პოლიტიკური შეხედულებების, სიმპათია-ანტიპათიების გამო ჩხუბობდა ხალხი. ვინ დაიწყო, ვინ უპასუხა, ვინ წინასწარ იყო მომზადებული, ვინ პროვოკაციას წამოეგო, ვინ კიდე რას წამოეგო – მე არ ვიცი, ამაზე გამოძიებამ უნდა გაგვცეს პასუხი.

ის, რაც მოხდა, არ აქვს მნიშვნელობა ვისი ბრალით მოხდა, ეს რომ მიუღებელი და დაუშვებელია, ამაზე ყველამ ყველაფერი ვთქვით. ასევე იმითიც, რომ პარლამენტმა საგაზაფხული სესიაზე ერთ-ერთი ბოლო აქტი მიიღო, არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსთან დაკავშირებით, რომელსაც სამწუხაროდ, უმცირესობა არ შემოუერთდა.

* * *

„ოცნებამ“ მიმითითა, რომ არ ვიყავი სწორი, როცა წერეთელთან დაკავშირებულ ვითარებას სამარცხვინო ვუწოდე – მართლაც შევცდი, ეს მოვლენები არა მარტო სამარცხვინო, არამედ თავისმომჭრელია გიგი წერეთელს ყველაზე დიდი პრობლემა აქვს რუსეთის დელეგაციის მხრიდან მხარდაჭერის სახით და ყველაზე დიდი კოზირი უჭირავს „ქართული ოცნების“ მხრიდან ასეთი წინააღმდეგობის სახით, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გიგი წერეთლის კანდიდატურის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ამ თემაზე ნებისმიერი კომენტარი იქნება ჩართვა იმ ტიპის კამპანიაში, რომელსაც მან „სამარცხვინო უწოდა“.

**დავით უსუფაშვილი:**

– მე სამარცხვინო ვუწოდე იმას, რაც ეუთო-ს საპარალმენტოს ასამბლეის თავმჯდომარის არჩევნასთან დაკავშირებით ხდება, თუმცა შემდგომ კოლეგებმა „ქართული ოცნებიდან“ მიმითითეს, რომ არ იყავი სწორი, როდესაც ამ მოვლენებს „სამარცხვინო“ უწოდეო.

მე ვაღიარებ რომ არ ვიყავი სწორი – მართლაც შევცდი, რადგან რაც დრო გავიდა, ვხედავ, რომ ეს მოვლენები არის არა მარტო სამარცხვინო, არამედ თავისმომჭრელი, პოლიტიკური მაზოხიზმის ნიშნების შემცველი და კიდევ ათასი უბედურება, ამიტომ არ მინდა იმაში ჩავერთო, რაც ხდება. დიახ, ეს არის სამარცხვინო.

მისივე თქმით, საქართველოში უმაღლეს დონეზე ტარდება ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება, რისთვისაც იშრომა საქართველოს პარლამენტისა და ბევრი სხვა უწყების თანამშრომლებმა.

უსუფაშვილის განცხადებით, საქართველოს დელეგაციამ ამ ასამბლეაზე წარადგინა უპრეცედენტოდ მკვეთრი და მკაფიო რეზოლუცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით.

– მე ყველას მოვუწოდებდი, რომ ამ თემებზე მეტი ყურადღება გავამახვილოთ, ვიდრე ჩვენი შიდა პრობლემები თავსმოვახვიოთ 56 ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენ გვთვლიან ევროპული ოჯახის წევრობისთვის ღირსეულ ქვეყნად და ამ ქვეყნებში მაინცდამაინც არ არის მიღებული შიდაპოლიტიკური პროცესების საერთაშორისო არენაზე გატანა. მითუმეტეს მაშინ, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის არჩევაზეა საუბარი.

ჩვენ საქართველოს ხელმძღვანელს ხომ არ ვირჩევთ, აპელირება რომ გავაკეთოთ იმაზე, ქართველებისთვის რა იქნება კარგი და ცუდი? – აქ ჩვენ ვირჩევთ საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელს და ის არგუმენტები, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მოიტანა და კოლეგებს განცხადების სახით შესთავაზა, არის კონტრპროდუქტიული.

მე თუ მკითხავთ, გიგი წერეთელს არჩევნების პროცესში ყველაზე დიდი პრობლემა აქვს რუსეთის დელეგაციის მხრიდან მხარდაჭერა და ყველაზე დიდი კოზირი უჭირავს „ქართული ოცნების“ მხრიდან ასეთი წინააღმდეგობის სახით, ამიტომ ცოტა ღრამდ დაუკვირდეს ყველა და განცხადება ისე გააკეთოს, – განაცხადა უსუფაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „სულხან მოლაშვილს სააკაშვილის კორუფცია ჰქონდა გამოძიებული“

## ნანა კაკაბაძე: „მოვითხოვთ მისი მწამებლების დასჯას“

ნონა ცაბაძე

სულხან მოლაშვილს დღეს უკანასკნელ გზაზე გააცილებს ქართველი ხალხი.

საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა სახეებმა პეტიცია გამოაქვეყნეს და ხელმოწერებს აგროვებენ. ისინი სულხან მოლაშვილის მწამებლების დასჯას მოითხოვენ. აღნიშნული პეტიციის ერთ-ერთი ავტორი და ხელმომწერი უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძეა**, რომელიც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***— ქალბატონო ნანა, პეტიციას ერთ-ერთმა პირველმა მოაწერეთ ხელი. რამდენად გაქვთ იმედი, რომ ხელისუფლება მოუსმენს საზოგადოებას და დამნაშავეები რეალურად დაისჯებიან?***

— სულხან მოლაშვილი შეეწირა ღირსებას და შეეწირა იმას, რომ მან ვერ გადააბიჯა იმ ადამიანურ, ელემენტარულად კაცურ ღირსებს, რომლებიც, როგორც მოქალაქეს და როგორც პიროვნებას გააჩნდა. ის დააპატიმრეს მხოლოდ იმის გამო, რომ მას ჰქონდა, როგორც კონტროლის პალატის იმდროინდელ თავმჯდომარეს, დასკვნა დადებული მიხეილ სააკაშვილის კორუფციის შესახებ.

***— რა მასალებს ფლობდა?***

— მას ჰქონდა გამოძიებული ის, რომ ნაციონალური მოძრაობა რევოლუციას გეგმავდა და ამ რევოლუციას აფინანსებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და როგორც კი ნაციონალურმა მოძრაობამ მოახდინა რევოლუცია და გადატრიალება, მაშინვე დააპატიმრეს ადამიანი, რომელსაც ამაზე სერიოზული მტკიცებულებები ჰქონდა. სულხან მოლაშვილის კონტროლის პალატის თავმჯდომარეობის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ხელისუფლებაში, ხოლო სააკაშვილი იყო „ოპოზიციაში“, ვერ მოხერხდა ის, რომ პროკურატურას აღეძრა სისხლის სამართლის საქმე და დაეწყო გამოძიება კონტროლის პალატის მიერ დადებულ ამ მძიმე დასკვნაზე.

***— ამით რისი თქმა გსურთ?***

— ეს თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ უკვე რევოლუციამდე რეალურ ძალაუფლებას ფლობდა ის ბოროტი ძალა, რომელმაც სულხან მოლაშვილი აწამა და მისი სიკვდილიც ამ წამების შედეგად დადგა.

***— როგორია თქვენი მოთხოვნა დღეს?***

— დღეს ჩვენ მოვითხოვთ იმ დამნაშავეების დასჯას, რომლებმაც უშუალოდ აწამეს სულხან მოლაშვილი, რომლებმაც დაუკვეთეს სულხან მოლაშვილის წამება და მთლიანად ვინც შექმნა სისტემა, სადაც ქვეყნის მართვა დაფუძნებული იყო წამებაზე, ღირსების შემლახავ მოპყრობაზე და ეს იყო ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის ნაწილი!

***— სამართლიანობის აღდგენას 2012 წლის შემდეგ მოითხოვთ, თუმცა მხოლოდ თითო-ოროლა თუ მოხვდა ციხეში. რამდენად გაქვთ ახლა სამართლიანობის აღდგენის და დამნაშავეების დასჯის იმედი?***

— ეს ყველაფერი მაინც საზოგადოებაზეა დამოკიდებული. არასოდეს უნდა ვფიქრობდეთ, რომ ოდესმე იქნება ისეთი იდეალური ხელისუფლება, რომელიც ჩვენს სურვილებს და თუნდაც საკუთარ ვალდებულებებს თავისი ნებით აღასრულებს. საზოგადოება უნდა იყოს იმ სიმაღლეზე, რომ ხელისუფლება გრძნობდეს, ასეთი რაღაცები არ ეპატიება.



***— მაინც რა არ ეპატიება?***

— არ ეპატიება ის, რომ დღეს ის შევიდა კოაბიტაციაში დანაშაულებრივ რეჟიმთან და ნაცვლად იმისა, რომ აღედგინა დაზარალებული ადამიანების, რეჟიმის დროს მოკლული, დასახიჩრებული თუ ქონებაწართმეული ადამიანების უფლებები, მან თავისი კომფორტული მდგომარეობისთვის აირჩია არა სამართლიანობის აღდგენა, არამედ კოაბიტაცია. დღეს საზოგადოების ბრალია ის, რომ არ არიან ეს ადამიანები დასჯილი!

***— საზოგადოება არ დგას თავის სიმაღლეზე და არ არის აქტიური?***

— რა თქმა უნდა! სანამ არ იქნება ქვეყანაში სამართლიანობა, მანამ არ იქნება აქ კეთილდღეობა და მშვიდობა და ჩვენი ქვეყანა ვერ განვითარდება. სწორედ ეს არის ამ პეტიციის მიზანიც, თორემ ამით სულხან მოლაშვილს აღარაფერი ეშველება, დაისჯებიან მისი მკვლელები თუ არ დაისჯებიან, მას აღარაფერი ეშველება.

***— კიდევ რა არის მოტივი ამ ხელმოწერების შეგროვების?***

— ეს არის მესიჯი ხელისუფლებისთვის, რომ მან უნდა გადადგას ეს ნაბიჯები! თუ არადა წინ არის არჩევნები და ქართველი საზოგადოება, ცხადია, არ დაუშვებს ნაციონალების ხელისუფლებაში მობრუნებას, მაგრამ ასეთ უნიათო ხელისუფლებასაც, რომელმაც დღემდე პასუხი არ მიაგო ნაციონალურ მოძრაობას, არ მისცემს ხმას!

***— ულტიმატუმს უყენებთ ხელისუფლებას?***

— დღეს ხელისუფლებამ უნდა აირჩიოს: ან შეინარჩუნოს ხელისუფლება და მომავალი ოთხი წელი კიდევ მართოს ქვეყანა და ან ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად დატოვოს პოლიტიკა და წავიდეს ქართული პოლიტიკიდან! მესამე არჩევანი „ქართულ ოცნებას“ არ ექნება!

დღეს საზოგადოება უნდა იყოს კონსოლიდირებული, იმიტომ, რომ სულხან მოლაშვილმა მართლაც აჩვენა გმირობის, ვაჟკაცობის და ღირსების მაგალითი ქვეყანას! თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მოქალაქე! მან ხელი არ მოაწერა ცრუ ჩვენებებს. მან არავის დააბრალა დანაშაული, რასაც მისგან მოითხოვდა ის ხელისუფლება და სულხანი წავიდა სიკვდილზე!

***— მიუხედავად იმისა, რომ უმძიმეს მდგომარეობაში გამოვიდა ციხიდან სულხან მოლაშვილი, მას ბრძოლა არ შეუწყვეტია და აგროვებდა მასალებს და საჯაროდ ლაპარაკობდა მის მწამებლებზე. დაინტერესდა ამ საქმით პროკურატურა? დაიკითხა მოლაშვილი?***

— ის ამ საქმეზე დაკითხულ არ არის! მე ვიყავი მისი ამბის პირველი მოწმე, მე შევეხე მისი პირველი წამების კვალს, პირველი ემოცია და პირველი ინფორმაცია მე მივიღე იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა მის თავს და რა დღეში ჩააგდეს სულხანი. მე არ ვარ დაკითხული. ოჯახის წევრები არ არიან დაკითხულნი.

მხოლოდ ერთი კვირის წინ დაიკითხა მაია ნიკოლეიშვილი, ექსპერტი. დიდი მადლობა მაიას, მართლაც გმირობა იყო მისი მხრიდან, მაშინ, როდესაც ის დათანხმდა, შევიდა და გადაიღო ეს ყველაფერი.

ოთხი წელია, ეს ხელისუფლება მოსულია და ჯერ კიდევ დათარეშობენ ეს მკვლელები და ისევ ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავენ. კარგით, ხელისუფლება როგორიც არის ისეთია, მაგრამ საზოგადოება სად არის?!

***— რა უნდა ქნას საზოგადოებამ?***

— როგორ შეიძლება ნორმალურმა და ჯანმრთელმა საზოგადოებამ დაუშვას ის, რაც დღეს საქართველოში ხდება! სად არის დღეს ქართველი ხალხი, როდესაც ნაციონალური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის გიგი წერეთლის კანდიდატურას ეუთო აყენებს მაღალ თანამდებობაზე?!

***— რა გააკეთოს ამ დროს ქართველმა ხალხმა?***

— რატომ არ დგას ეუთოსთან და რატომ არ ეუბნება, რომ ეს არის ქართველი ხალხისთვის სულში ჩაფურთხება და როგორ ბედავთ თქვენ ამის გაკეთებას! ჩვენ ხალხი ვართ თუ ვინა ვართ?!

უნდა გამოვფხიზლდეთ და მივხვდეთ, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ამ ქვეყანაში თავისუფლებაც, დემოკრატიაც და ღირსეული საზოგადოებაც! დღეს ჩვენ გვყავს ზუსტად ისეთი ხელისუფლება, როგორი საზოგადოებაც ვართ! თუ ხელისუფლებაზე გვაქვს პრეტენზია, ვკითხოთ საკუთარ თავს — განა უკეთეს ხელისუფლებას ვიმსახურებთ?!

# კახა კუკავა: „ეს ხელისუფლება სულხან მოლაშვილის მწამებლებს არ დასჯის“

## „სამართლიანობის აღდგენა 8 ოქტომბრის შემდეგაა შესაძლებელი“

მარიამ მჭედლიშვილი

საზოგადოების წარმომადგენლები აგროვებენ ხელმოწერებს პეტიციაზე იმ პირების დასასჯელად, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის დროს მონაწილეობდნენ სულხან მოლაშვილის წამებასა და სხვა დანაშაულებში მის მიმართ.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი, თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ეს შრომა ამაოა.

**კახა კუკავა:**

— ამ ხელმოწერების შეგროვებას აზრი არ აქვს იმ პირობებში, როცა სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პირი ლევან მურუსიძეა. ლევან მურუსიძე სულხან მოლაშვილის საქმის მოსამართლე იყო. მურუსიძე ბევრ რამეშია მხილებული, მაგრამ ის ისევ ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირია სასამართლოში და ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი. არჩევნებამდე არც სულხან მოლაშვილის საქმეს გადახედავენ და არც სხვა საქმეებზე აღდგება სამართლიანობა. ეს ამოცანა დღის წესრიგში იქნება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

**გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

***— ამით იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ არჩევნების შემდეგ ხელისუფლება შეიცვლება? გაერთიანებულ ოპოზიციას უმრავლესობაში მოსვლის შანსი გაქვთ?***

— ხელისუფლებაშიც რომ არ მოვიდეთ, მაინც ბევრ რამეს შევცვლით. ჩვენ სოლიდური წარმომადგენლობაც რომ გვქონდეს პარლამენტში, გულხელდაკრეფილი არ ვისხდებით. როცა საპარლამენტო ოპოზიციაში ვიყავით მე და ჩემი მეგობრები, პარლამენტში გირგვლიანის სახელი მუდმივად ისმოდა. ჩვენ მუდმივად ვაყენებდით სხვა პრობლემებსაც და ნაციონალურ მოძრაობას დიდ დისკომფორტს ვუქმნიდით.

***— თავისუფალი საქართველო „ქართულ ოცნებასაც“ უქმნიდა დისკომფორტს.***

— მართალია. თითქმის ერთადერთი ძალა ვიყავით, რომელიც ხალხს აფხიზლებდა. სხვა საკითხებთან ერთად, კოაბიტაციის წინააღმდეგაც გამოვდიოდით. ამ პროცესის მიმართ ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავით განწყობილი.

***— კოაბიტაცია ხალხის დიდ ნაწილს არ მოსწონდა.***

— საზოგადოება მაშინ ისე იყო გაბრუებული და ეგზალტირებული, რომ „ქართულ ოცნებას“ საერთოდ არ აკრიტიკებდა. ჩვენ ყველას ვაფრთხილებდით, მაგრამ ჩვენი გაფრთხილებები არ შეისმინეს. ახლა, 4 წლისთავზე მიხვდნენ, რომ კოაბიტაცია დიდი შეცდომა იყო და „ქართულმა ოცნებამ“ სხვა შეცდომებიც დაუშვა. ჩვენ თუ გვეყოლება პარლამენტში სოლიდური წარმომადგენლობა, სასამართლო ხელისუფლებაში და სხვა შტოებში აღარ იქნებიან მურუსიძის მსგავსი ადამიანები. მაშინ მანანა კობახიძე და ეკა ბესელია, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მურუსიძეს, უფრო მოკრძალებულად მოიქცევიან.

***— რამდენიმე თვის წინ თითქმის ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ მომავალ პარლამენტში უმრავლესობით ვერავინ მოვა. ახლა ბევრი ალაპარაკდა იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ დიდი უმრავლესობით იმარჯვებს.***

— თქვენ კარგად გახსოვთ 2003 წლისა და 2012 წლის მოვლენები. პირველ შემთხვევაში შევარდნაძე ებღაუჭებოდა ხელისუფლებას, მეორე შემთხვევაში — სააკაშვილი. ახლა ამ როლშია „ქართული ოცნება“. ავტორიტარული გამოვლინებები ერთნაირად მთავრდება ხოლმე. 2008 წელს სააკაშვილს რომ ეღიარებინა წაგება საპრეზიდენტო არჩევნებში, ის ახლა ოდესაში კი არა, საქართველოში იქნებოდა. ჯობია, „ქართულმა ოცნებამ“ ალალად შეირგოს თავისი 25% და გადავიდეს ოპოზიციაში.

***— რა იქნება მაშინ, თუ „ქართული ოცნება“ მეტს მოინდომებს?***

— მაშინ ის ძალაუფლებას დაკარგავს. შეიძლება ერთი ან ორი წელიწადი გაძლოს, მაგრამ მერე კრახი ელის.



**„თუ ხელისუფლება არ დასჯერდება თავის 25%-ს, ის ძალაუფლებას დიდხანს ვერ შეინარჩუნებს“**

***— კრახს ხელისუფლებას ნაციონალური მოძრაობაც უწინასწარმეტყველებს. ნაციონალები არჩევნების შემდეგ გამოსვლებს გეგმავენ.***

— ნაციონალური მოძრაობა მაოხრებელი მკვდრის როლშია. ის ხელს უშლის სახელმწიფოს განვითარებას. მართალია, ის სუსტია და ამ ხელისუფლებას ბევრი ვერაფერი დააკლო, მაგრამ ხელისუფლების ხელშეწყობით სხვა ოპოზიციის ფონზე ის ძლიერ ძალად ჩანდა. წინა არჩევნები ორ ფერში მიმდინარეობდა.

***— წლევანდელი არჩევნები არ ჩატარდება ორ ფერში?***

— გაერთიანებული ოპოზიცია ამას არ დავუშვებთ. ჩვენ უკან ჩამოვიტოვებთ ნაციონალურ მოძრაობას. ეს შეცვლის ძალთა ბალანსს და სიტუაციას ქვეყანაში. ოპოზიციის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება შეიცვლება. გაერთიანებულ ოპოზიციაში ხალხი პროგრესს დაინახავს.

***— ახალ რეალობაში ნაცმოძრაობის ცნობილი გეგმებიც შეიცვლება?***

— ნაციონალურ მოძრაობას ხავერდოვანი რევოლუციის მოწყობისთვის საზოგადოების მხარდაჭერა არ გააჩნია, თუმცა, აქვს საერთაშორისო მხარდაჭერა. ნაცმოძრაობას რაიმეს მოსაწყობად ხელისუფლების ხელშეწყობა დასჭირდება. ასე იყო 2003 წელს.

ამის ნიშნები ახლაც არსებობს. კორცხელის ინციდენტის დროს ნაცმოძრაობა ვერანაირ პროვოკაციას ვერ მოაწყობდა „ქართული ოცნების“ გარეშე. კალაძის ზონდერების გარეშე იქ ვერაფერი მოხდებოდა. ასეთი მოვლენებისგან დაზღვეული არ ვართ. ხელისუფლება შეიძლება ნებსით ან უნებლიეთ ჩაერთოს გარკვეულ მოვლენებში.

***— თქვენი ბლოკის შექმნამდე პრემიერმა და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ მისი პარტია არ ითანამშრომლებს ირმა ინაშვილისა და ნინო ბურჯანაძის პარტიებთან. თქვენ ახლა ინაშვილის პარტიასთან ხართ.***

— გიორგი კვირიკაშვილი ღიად თანამშრომლობს ნაციონალურ მოძრაობასთან. პირადად კვირიკაშვილის კადრია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი დავით კოღუაშვილი, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ მერაბიშვილი და უგულავა თანამდებობებზეც კი შეიძლება იყვნენ.

გიორგი კვირიკაშვილი ნაცმოძრაობის მმართველობის დროსაც ლოიალურად იყო განწყობილი ნაციონალების მიმართ. იგი ახლაც ისურვებდა, რომ პარლამენტში მეორე ადგილი ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდეს. სწორედ ასეთი ლობისტები შეიძლება დაეხმარონ ნაციონალურ მოძრაობას.

# გიგი წერეთელი: „ქართული ოცნება“ პარანოიდულ ფაზაშია“

## რაზე ევაჭრება ევროპის სახალხო პარტია რუსეთს

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღის წინ ევროპის სახალხო პარტიამ ეუთოს საპარლამენტო პრეზიდენტის კანდიდატად გიგი წერეთელი დაასახელა. ხმის მიცემის პროცედურა გუშინ, 4 ივლისს, დაიწყო და დღეს, 5 ივლისს დასრულდება.

როგორც მოსალოდნელი იყო, წერეთლის კანდიდატურის წამოყენება „ქართულ ოცნებას“ არ მოეწონა. ხმის მიცემის წინა დღეს პარტიამ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

პარტია ღიად აცხადებს, რომ ისინი გიგი წერეთლისთვის ხმის მიცემას არ აპირებენ.

მეოცნებეთა განმარტებით, გიგი წერეთელი ზედიზედ ორჯერ იყო არჩეული ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე და, ბუნებრივია, იგი ამ პოზიციას აქტიურად იყენებდა პარტიული მიზნებისთვის, თუმცა, საზოგადოებისთვის უცნობია, რამდენად ეფექტიანად ხელმძღვანელობდა ამ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

– 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა ერთ-ერთ მთავარ სადამკვირვებლო მისიას წარმოადგენს, ხოლო გიგი წერეთელი ამ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე მხარეა. შესაძლოა გაჩნდეს განცდა, რომ საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მას ექნება შესაძლებლობა, რაიმე ფორმით გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგების შეფასებაზე.

მიგვაჩნია, რომ სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. განსაკუთრებულად გასათვალისწინებელია ის, რომ ენმ-ის ლიდერი თუ პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა პირები ღიად გამოხატავენ საქართველოში „რევოლუციური სცენარის“, „აჯანყების“ თუ სხვა ტიპის უკანონო ქმედებებით ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილს.

ამ განცხადებებიდან და ოპოზიციის ცალკეული ქმედებებიდან გამომდინარე, ჩნდება განცდა, რომ ნაციონალური მოძრაობის მიზანია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დელეგიტიმაცია უკანონო და ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით, – აცხადებენ „ქართულ ოცნებაში“.

მათივე განმარტებით, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის არჩევამ საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ეუთოს სადამკვირვებლო მისიის შედეგების ობიექტურად და დაბალანსებულად აღქმას.

– აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ გიგი წერეთლის არჩევა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად უფრო მეტ კითხვას გააჩენს ქართულ საზოგადოებაში, ვიდრე სარგებელს მოუტანს მას. შესაბამისად, პარტია „ქართული ოცნება“ მოუწოდებს საპარლამენტო ასამბლეის წევრებს, გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინონ აღნიშნული გარემოებები, – ნათქვამია მეოცნებეთა განცხადებაში.

ამის გარდა, „ქართულმა ოცნებამ“, როგორც ნაციონალები ამბობენ, წერეთელს შავი პიარი აუგორა.



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გია ვოლსკის განცხადებით, ევროპის სახალხო პარტია რუსეთს წერეთელზე სერიოზულად ევაჭრებოდა.

– სახალხო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი აგრამუნტი იმყოფებოდა მოსკოვში, იქიდან ჩამოვიდა საქართველოში და გამართა შეხვედრები როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებთან. მან გააკეთა განცხადებები, რომ არა როგორც სახალხო პარტიის ხელმძღვანელმა, არამედ როგორც ევროპის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთის მონაწილეობა ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში უნდა განახლდეს, გარკვეული შეზღუდვები უნდა მოეხსნას. საფუძველი ითქვას, რომ „ევროპის სახალხო პარტიასა“ და რუსეთს შორის მოლაპარაკებების თემას წარმოადგენს გიგი წერეთლის მხარდაჭერა, არსებობს, – განუცხადა ჟურნალისტებს გია ვოლსკიმ.

მმართველი ძალის განცხადებას უსაფუძვლო და სასაცილო უწოდეს ნაციონალურ მოძრაობაში.

დეპუტატ გიორგი კანდელაკის ინფორმაციით, რუსეთის დელეგაცია არ აპირებს გიგი წერეთლისთვის ხმის მიცემას.

– ამაზე სერიოზული კომენტარი წარმოუდგენელია. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, შიდა პოლიტიკურად „ქართული ოცნებისთვის“ იყო დამაზიანებელი ის ფაქტი, რომ რუსეთის დელეგაცია და საქართველოს დელეგაციის უმრავლესობა აქტიურად მუშაობდნენ გიგი წერეთელის წინააღმდეგ. ქართულმა დელეგაციამ სთხოვა მათთვის იდეურად და პიროვნულად ახლოს მდგომ, რუსული დელეგაციის წევრებს, რომ ეს ზიანი გაენეიტრალებინათ და ასეთი ძალიან უცნაური განცხადება გაეკეთებინათ. ეს ინფორმაცია, ჩემი აზრით, არ არის საფუძველს მოკლებული, – განაცხადა კანდელაკმა.

ბრალდებებს გიგი წერეთელიც გამოეხმაურა.

ის მიიჩნევს, რომ ხელისუფლება პარანოიდულ ფაზაშია შესული. დეპუტატი პირობას დებს, რომ თუ პრეზიდენტი გახდა, საქართველოს არაფერს ავნებს.

– ეს ყველაფერი უკვე შესულია პარანოიდალურ ფაზაში. ძალიან დაძაბულები არიან და მოეშვან, რატომ არიან დაძაბულები, რა ხდება ასეთი. ოთხი წელია, ვარ ვიცე-პრეზიდენტი და მე მგონი, მათ ჩემგან არაფერი დიდი დარტყმა არ მიუღიათ, აქედან მე ჩემს ქვეყანას ვეხმარები და არა ნაციონალურ მოძრაობას და არც „ქართულ ოცნებას, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

# კალათბურთის ფედერაციის მიერ გადახდილი მილიონები ქართველი სპორტსმენების მომზადებას არ ხმარდება

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 2 500 000 ევროს ღირებულების პროექტი მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. კონტრაქტის საეჭვო დეტალებზე სპორტის მესვეურებიც ალაპარაკდნენ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ყოფილი მინისტრის, ლევან ყიფიანის დროს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციას“ (GBF), „ფონდ 5+11“ და „სასკო ბასკონია S.A.D“ შორის 2014 წლის 27 სექტემბერს 5 წლიანი ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. კონტრაქტის მიხედვით, ესპანელ მწვრთნელებს კალათბურთის ეროვნული ნაკრებისთვის 16-დან 20 წლამდე მოთამაშეები უნდა მოემზადებინათ. საქართველოს ბიუჯეტს პროექტის განხორციელება 2 500 000 ევრო უჯდება.

კალათბურთის ფედერაციის მიერ 2015 წლის 2 თებერვალს მინისტრისადმი, ლევან ყიფიანისადმი მიწერილ წერილში წერია: „ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები მიმართული იქნება მხოლოდ ქართველი ახალგაზრდა სპორტსმენების მაღალკვალიფიციური და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამის კალათბურთელებად ჩამოყალიბების მიზნებისთვის“.

2 წლის განმავლობაში, კონტრაქტის ფარგლებში, არც ერთი ქართველი კალათბურთელი არ მომზადებულა. როგორც გაირკვა, „სასკი ბასკონიის“ ბაზაზე ამ ხნის განმავლობაში ერთი ქართველი კალათბურთელი, ლუკა ბულეიშვილი ვარჯიშობდა, რომლის მომზადების საფასურიც (17 000 ევრო) ოჯახმა გადაიხადა. ცალკე საკითხია, როგორ აღმოჩნდა ლუკა ბულეიშვილი ფედერაციის კონტრაქტით გათვალისწინებული გრანტით დაფინანსებულთა სიაში, როცა ყველა ხარჯი კალათბურთელის ოჯახმა აანაზღაურა.

კალათბურთის ფედერაციამ ამჟამინდელ მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილს პროექტის მიმდინარეობის ანალიზი გაუგზავნა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ამ ეტაპზე გრანტის მქონე მოთამაშეებიდან 9 უცხოელია და სამი ქართველი. ქართველებს შორის არის ლუკა ბულიაშვილიც.




ანალიზის გრაფაში: „მოთამაშეები, რომლებსაც აქვთ გრანტი ჩვენი ხელშეკრულებით“ სიტყვა სიტყვით ვკითხულობთ:

დანიელ ბორდინინო, კარლოს მარტინესი, ტადას ხედერკაკისი, რინალდს მალმანისი, პილლიპ პრეტრუსევი, ჯურიჯ მაკურა, არტურ კურუჩი, დავიდ პეტრუსევი, დევონ ვან ოსტრუმი;

ქართველი მოთამაშეები ჩვენი ხელშეკრულებით: ლუკა ბულაშვილი, გიორგი ტურძელაძე, ნიკა დარბაიძე.

გიორგი ტურძელაძეს და ანიკა დარბაიძეს მომზადება არ გაუვლიათ და ისინი მოკლე დროში საქართველოში დაბრუნდნენ. ირკვევა, რომ ფედერაციის გრანტით არც ერთი ქართველი კალათბურთელი არ დაფინანსებულა. 2 წლის განმავლობაში უცხოური კლუბისთვის გადარიცხული ასიათასობით ევრო ჯერჯერობით 9 უცხოელი კალათბურთელის მომზადებას მოხმარდა.

კალათბურთის ფედერაციის მიერ მინისტრისადმი მიწერილ წერილში დადებული პირობა, რომ „ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები მიმართული იქნება მხოლოდ ქართველი ახალგაზრდა სპორტსმენების მაღალკვალიფიციური და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამის კალათბურთელებად ჩამოყალიბების მიზნებისთვის“ ტყუილი აღმოჩნდა.

ასევე, ტყუილი აღმოჩნდა კიდევ ერთი პირობა, რომელიც ხსენებულ წერილშია დაფიქსირებული: „პროექტით გათვალისწინებულია ქართველი მწვრთნელების გადამზადება და ახალი მწვრთნელებისთვის პერსპექტივების შექმნა, რათა მათ შეძლონ აიმაღლონ კვალიფიკაცია „სასკი ბასკონიის“ სამწვრთნელო ჯგუფთან მუშაობის გზით, მოხდეს მათი ჩართვა კლუბის საწვრთნელ სტრუქტურებში და შემდეგში საქართველოში გაუზიარონ კოლეგებს შეძენილი ცოდნა და გამოცდილება“.

2 წლის განმავლობაში „სასკი ბასკონიის“ ბაზაზე არც ერთი ქართველი მწვრთნელი არ ყოფილა და, შესაბამისად, არც კლუბის საწვრთნელ სტრუქტურაში ჩართულა ვინმე და არც ქართველი კოლეგებისთვის გაუზიარებია გამოცდილება.

რაში დაიხარჯა 2 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტიდან გადახდილი მილიონობით ლარი, კალათბურთის ფედერაცია ვერ აკონკრეტებს. ხელშეკრულების მიხედვით, თითო ქართველი სპორტსმენის მომზადებაში უცხოური კლუბი 30 000 ევროს იღებს. თანხა გადახდილია – საქმე კი არ ჩანს, პროექტის ფარგლებში 2 წლის განმავლობაში არც ერთ ქართველ სპორტსმენს მომზადება არ გაუვლია.

# ახმედ ზაკაევი: „ჩატაევი რუსულ სპეცსამსახურებზე მუშაობს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ჩატაევი არაერთხელ დააკავეს ევროპაში, ავსტრიასა და უკრაინაში. უკრაინიდან ის საქართველოს გადასცეს, სადაც ცხოვრობდა და მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. 2015 წელს აღმოჩნდა სირიის ტერიტორიაზე, – აღნიშნავს მუხადინოვი.

მისივე თქმით, რუსულ მხარეს თურქი კოლეგებისთვის მიწოდებული აქვს ინფორმაცია, თუ როგორ ახდენდა ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი, ახმედ ჩატაევი თურქეთში მცხოვრები ახალგაზრდების გადაბირებას.

უოლ სტრიტ ჯორნელის ინფორმაციით კი, ახმედ ჩატაევის პერსონა აშშ-ს და რუსეთის დაზვერვისთვის კარგა ხანია, რაც საინტერესო გახდა.

როგორც ჟურნალისტი ჯულიან ბარნსი წერს, ჩატაევი სირიაში მებრძოლი რუსულენოვანი მეომრების ერთ-ერთი ლიდერი იყო.

– ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ყოფნის დროს იგი ექსტრემისტებისთვის თანხის შეგროვებით იყო დაკავებული, – ამბობს ბარნსი.

გამოცემის ინფორმაციით, 35 წლის ჩატაევის სახელი კავკასიის რეგიონში ფართოდაა ცნობილი. იგი ინვალიდია – მან ცალი ხელი ჩეჩნეთის ომში დაკარგა, ფეხი კი – საქართველოში.

გამოცემის ინფორმაციით, ჩატაევზე რუსეთის მიერ ძებნა იყო გამოცხადებული, შესაბამისად, მოსკოვი მუდმივად ცდილობდა მის ექსტრადიციას.

– იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს ჯერ შვედეთში, შემდეგ უკრაინაში, ბულგარეთსა და საქართველოში. მაგალითად, როცა 2008 წელს შვედეთში იარაღის კონტრაბანდის მცდელობის გამო დააკავეს, იგი აცხადებდა, რომ ნორვეგიაში მეგობრის მიწვევით სათევზაოდ მიდიოდა, იარაღი კი, დისკრედიტაციის მიზნით, რუსეთის აგენტებმა ჩაუდეს. მას 16 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ ვადამდე, 10 თვეში გამოუშვეს. ყოველი დაპატიმრების დროს რუსეთი მის ექსტრადირებას მუდმივად ითხოვდა.

– იქედან გამომდინარე რომ ჩატაევი ავსტრიაში მიღებული ლტოლვილის სტატუსით სარგებლობდა, იგი რუსეთისთვის გადაცემას ყოველთვის თავიდან იცილებდა, – აცხადებს ჩეჩნეთის პრეზიდენტის ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი მაირბეკ ვაჩაგაევი, რომელიც ამჟამად ჯეიმსთაუნის ფონდში მუშაობს.

# შსს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკას აქვეყნებს



2016 წლის ივნისის თვე 517.038 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2015 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 4,1 %-ით მეტია, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებშია საუბარი.

მონაცემების მიხედვით, 2016 წლის იანვარ-ივნისში საერთო რაოდენობის 38,4% ტურისტია რაც 1.011.458 ვიზიტს შეადგენს და მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 18,1%-ია.

ტრანზიტზე მოდის 521.746 ვიზიტი, რაც საერთო რაოდენობის 19,8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -2,8%-ით ნაკლებია. სხვა ტიპის ვიზიტებზე – 1.102 887 განხორციელებული ვიზიტი მოდის, რაც საერთო რაოდენობის 41,8%-ია, და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 17%-ით მატებაა. .

შსს-ს ინფორმაციით, 2016 წლის ივნისშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ აზერბაიჯანიდან (+1,9%), სომხეთიდან (-3,9%), თურქეთიდან (-7,2%), რუსეთიდან (+4,4%) და უკრაინიდან (+35,3%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ივნისშიც გამოირჩნენ ლატვია, იტალია, და საფრანგეთი (შესაბამისად 29%, 20%, და 12%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (27%) და უზბეკეთი (31%).

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ბელორუსია (39%) და მოლდოვა (22%), ახლო აღმოსავლეთიდან – ისრაელი (95%), ხოლო აზიის ქვეყნებიდან – არაბთა გაერთიანებული საემიროები 23%-იანი მატებით. სამინისცტროს ცნობით, აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 9%-იანი ზრდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვახტანგ მაისაია: „ლაფანყურის ოპერაციის გამოძიება დასრულებულია“

## „სააკაშვილმა საკუთარი თავი ამხილა“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალ თაობას“ თურქეთში რამდენიმე დღის წინ მომხდარ ტერაქტებთან დაკავშირებულ ახმედ ჩატაევზე, ტერორიზმთან დაკავშირებულ სააკაშვილზე, მის აღიარებით ჩვენებაზე პირდაპირ ეთერში ლაფანყურის ოპერაციასთან დაკავშირებით და ლაფანყურის საგამოძიებო საქმის დასრულებაზე ესაუბრება.



***– ბატონო ვახტანგ, ახმედ ჩატაევს თურქეთის ტერაქტებთან ოფიციალურად არ აკავშირებენ, თუმცა, ამაზე ჩვენთან მისი გათავისუფლების საკითხზე დებატები იმართება. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია ჩატაევის ფაქტორზე?***

– ჩატაევს უკვე ოფიციალურადაც აკავშირებენ თურქეთში მომხდარ ტერაქტთან – ამერიკის კონგრესის უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარემ ჩატაევის ტერაქტში მონაწილეობის საკითხი წამოწია და დაადასტურა.

***– თურმე სააკაშვილის პირადი აგენტი ყოფილა.***

– ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ ის საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. 2009 წელს სააკაშვილი დაადგა ტერორისტებთან თანამშრომლობის პოლიტიკას. მან დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა „კავკასიის იმამატთან“, რომელიც ამერიკის სახელმწიფომ საშიში ორგანიზაციების სიაში შეიყვანა. ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილი დაადგა პოლიტიკას, რომელსაც ჰქვია ტერორიზმის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა. სააკაშვილი ტერორისტებთან თანამშრომლობის პოლიტიკას ახორციელებდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით. ის ჩართული იყო მაღალი დონის კორუფციულ სქემებში. მიხეილ სააკაშვილი იღებდა დიდ თანხებს იმ სპონსორებისგან, რომლებიც ეხმარებოდნენ „კავკასიურ იმამატს“.

***– სააკაშვილი ტერორისტებთან თანამშრომლობდა?***

– სააკაშვილი „კავკასიურ იმამატს“ იყენებდა, როგორც საკუთარ საშინაო, ასევე საგარეო მიზნების მისაღწევად. ლაფანყურის ოპერაცია არის ამგვარი პოლიტიკის ყველაზე ნათელი დადასტურება.

ჩატაევი, ფაქტობრივად, იყო „კავკასიური იმამატის“ შუამავალი და წარმომადგენელი საქართველოში. იგივე ფუნქციას ასრულებდა ალი დუბაევი, რომელიც, ფაქტობრივად, მონაწილეობდა ლაფანყურის ოპერაციის განხორციელებაში, რომელიც შემდეგ თურქებმა გამოავლინეს, როგორც რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

რთულია საუბარი, რომ ახმედ ჩატაევიც რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი გახლდათ. წარმოიდგინეთ, მიხეილ სააკაშვილმა ჩაატარა სპეცოპერაცია, რომლის მთავარი მიზანი იყო საქართველოში ახმედ ჩატაევის ჩამოყვანა და მისი ჩართვა ტერორიზმის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის რეალიზაციაში. ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილი დადანაშაულებულ იქნა ტერორიზმის მხარდაჭერაში.

***– ჩატაევთან დაკავშირებით სააკაშვილის განცხადებებს როგორ აფასებთ?***

– სააკაშვილმა გააკეთა სენსაციური განცხადება. მან, ფაქტობრივად, სრულად დაადასტურა დასკვნა, რომელიც ლაფანყურის ოპერაციასთან დაკავშირებით ჩვენმა კომისიამ დადო. ადრე სააკაშვილი ამბობდა, რომ ეს ჯგუფი გადმოდიოდა საქართველოში, ორი დღის წინ კი განაცხადა, რომ თურმე ეს ჯგუფი მართლა საქართველოდან გადადიოდა რუსეთში. სააკაშვილმა საკუთარი თავი ტყუილში გამოიჭირა.

***– სააკაშვილი რუსეთთან შეთანხმებით ხომ არ მოქმედებდა ლაფანყურთან დაკავშირებით?***

– რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობა რომ იყოს, გასაკვირი არ არის. ამ ჯგუფში რუსეთის სპეცსამსახურების ორი აგენტი იყო. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობას ახორციელებდა რუსეთის სპეცსამსახურების დღეს უკვე გაშიფრული აგენტი.



აქ მე ვისაუბრებ ვანო მერაბიშვილის ფაქტორზეც.

მისი კავშირები ბელარუსისა და რუსეთის სპეცსამსახურებთან საკმაოდ საინტერესო კუთხით უნდა განვიხილოთ. აღნიშნული ჯგუფი გაანადგურეს. ამ ჯგუფის გადარჩენილი წევრები გადაიყვანეს თურქეთის ტერიტორიაზე. მათ შორის, ზოონი დუბაევი, რომელიც გადაიყვანეს საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა. იქ იყო კიდევ ხუთი ტყვედჩავარდნილი ჯიჰადისტი – ამ რაზმის წევრი და ასევე გადაიყვანეს თურქეთის ტერიტორიაზე. მოგვიანებით ისინი აღმოჩნდნენ ისლამური სახელმწიფოს რიგებში. ისინი შემდეგ შეუერთდნენ „კავკასიური ისლამური იმამატის“ სირიის ჯგუფს.

***– მიხეილ სააკაშვილის განცხადებები რას ადასტურებს?***

– ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილმა თავისი პირით დაადასტურა, რომ ის ოფიციალურად მონაწილეობდა ტერორიზმის ხელშემწყობი და მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელებაში. სააკაშვილმა საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცა ჩვენება. სააკაშვილმა უარყო მისი პრეზიდენტობის დროს გამოთქმული ვერსია, რომ ის შეიარაღებული რაზმი გადმოდიოდა რუსეთიდან საქართველოში. მან თქვა, რომ რაზმი საქართველოდან რუსეთში გადადიოდა.

ეჭვი მეპარება, რომ მიხეილ სააკაშვილი სინდისმა შეაწუხა. თუმცა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ მან მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდების დახოცვაში, რომლებიც მოტყუებით იქნენ ჩართული ამ ოპერაციაში. ამ განცხადებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლაფანყურის ოპერაციის გამოძიება, ფაქტობრივად, დასრულებულია. სააკაშვილმა დაადასტურა, რომ ის და მისი სპეცსამსახურები უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ოპერაციის დაგეგმვაში.

***– მათი დახოცვის ბრძანება ვინ გასცა?***

– სავარაუდოდ, სააკაშვილმა გასცა ბრძანება ამ ჯგუფის განადგურების შესახებ. მან ეს აღიარა. ამიტომ ლაფანყურის ოპერაციის გამოძიება დასრულებულია. გამოვიდა ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი გია ლორთქიფანიძე და ასევე დაადასტურა მისი უშუალო მონაწილეობა ამ საქმეში. მე მქონდა ეჭვი, რომ ის იყო მთავარი სუბიექტი. გია ლორთქიფანიძემ მისცა ვრცელი ინტერვიუ ამერიკულ გამოცემას, სადაც დაადასტურა, რომ ჩატაევი იყო მისი აგენტი და ჩატაევთან ჰქონდა უშუალო ურთიერთობები.

***– რამდენად სწორი იყო ჩატაევის გაშვება?***

– ჩატაევმა ბევრი რამ იცოდა. მისი გაშვება მაშინდელი ხელისუფლებისთვის საშიში იყო და ის დააპატიმრა. ჩატაევს ბრალად დასდეს არა ამ ოპერაციაში მონაწილეობა, არამედ იარაღის უკანონო ტარება და გაასამართლეს. ეს იყო შეკერილი საქმე, როგორც სხვა შეკერილი საქმეები.

***– რატომ?***

– რუსეთმა მოიტყუა, რომ ჩატაევი შეუერთდა რაზმს და მაშინ დაჭრეს. სინამდვილეში ჩატაევი დაჭრეს მოლაპარაკების დროს, როდესაც ის ესაუბრებოდა ლოპოტაში ალყაშემორტყმული რაზმის წარმომადგენლებს. სპეცსამსახურის წარმომადგენელმა ზელიმხან ხანგოშვილმა დაჭრა ამ მოლაპარაკების დროს.

შემდეგ, ფაქტობრივად, დაიწყო ბრძოლა საქართველოს სპეცსამსახურებსა და შეიარაღებულ ნაწილებს შორის. ასევე იკვეთება ჩვენი სამხედროების საეჭვო მონაწილეობა. როგორც ჩანს, მათ ბევრი რამ იცოდნენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კომისიამ საინტერესო ფაქტები დადო. ძალიან საეჭვო ვითარებაში მოხდა მათი ლიკვიდაცია. ეს უფრო მოწმეების თავიდან მოშორების სპეციალურად დაგეგმილ ოპერაციას ჰგავდა.

ჩატაევი იმ რაზმთან მოსალაპარაკებლად მივიდა უიარაღოდ, საქმეში ჩაწერეს, თითქოს ორი ლიმონკა ჰქონდა. ლიმონკა ჩაუდეს სააკაშვილის სპეცსამსახურებმა, რომ ჩატაევი ციხეში ჰყოლოდათ. არის ინფორმაცია, რომ შეეცადნენ ჩატაევი ციხეში მოეწამლათ. სააკაშვილის წარმომადგენლები აპირებდნენ მის ლიკვიდაციასაც. ახლა გამოვიდა კახიძე, რომელიც იყო ჯალათი.

***– იუსტიციის ყოფილი მოადგილე?***

– ფაქტობრივად, ის არის მკვლელი და ჯალათი, როგორც მერაბიშვილი. კახიძემ გახსნა ლოპოტის ოპერაციის დეტალები. მან თქვა, რომ სპეცსამსახურებს შეეძლოთ მოეკლათ და მიეგდოთ და ანალოგიური გვამი იქნებოდაო. არ გამოვრიცხავ, კახიძეც მონაწილეობდა ამ ოპერაციაში. მისი საუბრიდან ეს დასკვნა გამოვიტანე, რადგან ის იყო ადეიშვილის მოადგილე. ეტყობა, ჩატაევისგან ინფორმაციების მიღება და მერე მოკვლა უნდოდათ. ახალ ხელისუფლებას დახვდა ჩატაევი მხოლოდ იარაღის ბრალდებით ბრალდებული.

***– თანაც დიდი საზოგადოებრივი ზეწოლა იყო ჩატაევის გათავისუფლების მოთხოვნით.***

– ის საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო და მოითხოვდა სერიოზულ მკურნალობას. ასევე არ არსებობდა მტკიცებულებები, რომელიც რაიმე ფორმით მის მონაწილეობას დაადასტურებდა. შემდეგ გამოირკვა, რომ ჩატაევი იყო „კავკასიური იმამატის“ წარმომადგენელი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში გამოძიება დაავალეს ვალერი ზუმბაძესა და ლადო დათაშვილს, რომლებიც იყვნენ საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მთავარი ჯალათები და ასევე მონაწილეობდნენ ლოპოტის ოპერაციაში.

***– ამერიკამ არ იცოდა, რომ სააკაშვილი ტერორიზმის ხელშემწყობ პოლიტიკას ადგა?***

– იცოდა და ამიტომ ამერიკის ადმინისტრაციამ კავშირი გაწყვიტა მიხეილ სააკაშვილთან, ანუ ოფიციალური შეხვედრები არ ტარდებოდა. ობამა დემონსტრაციულად არ ხვდებოდა მიხეილ სააკაშვილს, რამაც დიდი როლი ითამაშა მიხეილ სააკაშვილის მშვიდობიანი გაძევების საქმეში.

# გიორგი მარგველაშვილი: „ჩვენ არ ვართ ვალდებული, რუსეთს ჩვენი საგარეო პოლიტიკური მიზნები განვუმარტოთ“



საქართველო არ არის ვალდებული, საკუთარი საგარეო პრიორიტეტები რუსეთს განუმარტოს. აღნიშნული განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გამოცემა „new Eastern Europe“-ვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

ჟურნალისტმა გიორგი მარგველაშვილს კომენტარი სთხოვა ბიძინა ივანიშვილის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, საქართველო უნდა დაელოდოს, სანამ რუსეთი გააცნობიერებს ქვეყნის ევროატლანტიკურ არჩევანს.

– რა სტანდარტების მიხედვით უნდა გააკეთოს პრეზიდენტმა კომენტარი ქართული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებაზე? – დასვა საპასუხო კითხვა გიორგი მარგველაშვილმა.

მისი განმარტებით, საქართველო არის დამოუკიდებელი საელმწიფო და თავად ირჩევს პარტნიორებსა და საგარეო პოლიტიკურ კურსს.

**გიორგი მარგველაშვილი:**

– ჩვენ არ ვართ ვალდებული რუსეთს ჩვენი საგარეო პოლიტიკის სამიზნეები განვუმარტოთ. ჩვენ ვქმნით ჩვენს საგარეო პოლიტიკას როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და თავად ვირჩევთ პარტნიორებს.

ჩვენ ღიად განვაცხადეთ, რომ საქართველო თავის ევროატლანტიკურ გზას ვინმეს წინააღმდეგ, მათ შორის რუსეთის წინააღმდეგ არ აძლიერებს. ჩვენ დავამყარეთ მეგობრული ურთიერთობები ყველა ჩვენს მეზობელთან. საქართველოს მეგობრული ურთიერთობა რუსეთთანაც კი ექნებოდა, ამ უკანასკნელს ჩვენი ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია რომ არ მოეხდინა.

მისი თქმით, საქართველოსთვის ბუნებრივია ნატო-ში გაწევრიანების სურვილი, რადგან გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვან რეგიონში მდებარეობს.

საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრებით, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაძლიერება დადებით გავლენას მოახდენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ ვითარებაზე.

**ინტერპრესნიუსი**

# ცხინვალმა საქართველოს მოქალაქე დააკავა



ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელიც, მარიონეტული რეჟიმის მტკიცებით, დივერსიულ-ტერორისტულ საქმიანობაშია ეჭვმიტანილი.

დაკავებულია სოფელ დისევის მკვიდრი, 1978 წელს დაბადებული გიორგი ლევანის ძე გიუნაშვილი. ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ინფორმაციით, დაკავებული 2004 წლიდან „იღებდა აქტიურ მონაწილეობას ქართული სპეცსამსახურების კონტროლირებად უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში – ცხინვალის რაიონის სოფელ დისევის ე.წ. „თავდაცვის ჯგუფში“.



მარიონეტული რეჟიმის ცნობით, დაკავებული გიუნაშვილი 2007 წელს ხელყუმბარის აფეთქებაშია ეჭვმიტანილი. ასევე, 2008 წლის 11 აგვისტოს, ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილა ოსური მხარის სამხედროები, რომლებიც სოფლის მიმდებარედ პატრულირებას ახორციელებდნენ, რასაც ერთი სამხედრო ემსხვერპლა, კიდევ ერთი მძიმედ დაშავდა.

– ამჟამად მიმდინარეობს ღონისძიებები გიორგი გიუნაშვილის სამხრეთ ოსეთის ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებების ყველა ასპექტის დასადგენად, – ნათქვამია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# როგორ მოვუაროთ მგრძნობიარე კანს

**მგრძნობიარე კანი** – თანამედროვე ქალების უმრავლესობის პრობლემაა. დაბინძურებული ეკოლოგიური გარემო, სტრესები და არასწორი მოვლა დამანგრევლად მოქმედებს კანზე. ეკოლოგიურ პრობლემებსა და სტრესებს ასე ადვილად ვერ მოვერევით. ამიტომ, ისღა დაგვრჩენია, მისი მოვლით გავაბათილოთ „გარედან“ მიყენებული ზიანი.

მგრძნობიარე კანი ძალზე სათუთ მოპყრობას ითხოვს. ასეთ კანს აქვს ძალიან თხელი დამცავი შრე და მტკივნეულად რეაგირებს არასასურველ გარე ფაქტორებზე. მათ, ვისაც მგრძნობიარე კანი აქვთ, უნდა მიიღონ მეტი ვიტამინები, ბურღულეული; შეზღუდონ ციტრუსებისა და მატონიზებელი სასმელების რაოდენობა; ყურადღება მიაქციონ ნაღვლის ბუშტისა და კუჭ-ნაწლავის მდგომარეობას. გარდა ამისა, დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ პარფიუმერიისა და კოსმეტიკის შერჩევისას; შეეცადონ, ძირითადად გამოიყენონ ხალხური (მცენარეული) საშუალებები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რჩევები მგრძნობიარე კანის მოსავლელად, შეიძლება, შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

მგრძნობიარე კანზე ყველაზე უარყოფით გავლენას ახდენს სიცივე და მზის პირდაპირი სხივები; სტრესები; მატონიზებელი სასმელები – ყავა და მაგარი ჩაი; ალკოჰოლი; მწარე, ცხარე, მლაშე საკვები; ფიზიკური გადაღლა.

2. კანის მოვლის საშუალებების შეძენისას ყურადღება მიაქციეთ, რომ: თქვენ მიერ შერჩეული პროდუქტი მოიწონოს დერმატოლოგმა; გავლილი ჰქონდეს ტესტი ჰიპერალერგიულობაზე; უნდა შეიცავდეს კანის დამარბილებელ კომპონენტებს – ცხიმმჟავებს, რომლებიც შედის რძის პროდუქტებსა და მცენარეულ ზეთში; უნდა შეიცავდეს, აგრეთვე, კანის დამამშვიდებელ კომპონენტებს – ალანტოინსა და ბისაბოლოლს; ყურადღება მიაქციეთ შენახვის ვადას.

3. გამოყენების წინ ჩაიტარეთ ტესტი ალერგიულობაზე: პროდუქტი მცირე დოზით წაისვით კანზე ყურის უკან და 1-2 დღის განმავლობაში დააკვირდით. თუ დაგეწყოთ ქავილი, კანი გაგიწითლდათ, აგექერცლათ ან წვა იგრძენით, ესე იგი, მასზე ალერგია გაქვთ და არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოთ მისი მოხმარება – ასეთი სარისკო ექსპერიმენტები მხოლოდ პრობლემას მოგიმატებთ.

***

**კანის დამაწყნარებელი ნიღბის რეცეპტები:**

ჩაის ჭიქაში ჩაასხით 3 სადილის კოვზი (სავსე) ნაკლებცხიმიანი არაჟანი, დაამატეთ 2 სადილის კოვზი ნუშის ზეთი, დაფქული შვრია და კარგად მოურიეთ (უნდა გამოვიდეს საშუალო სისქის მასა). მიღებული მასა წაისვით ახალდაბანილ სახესა და კისერზე (შეიძლება დეკოლ-



ტეზეც), 5-10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და გადაისვით შესაფერისი მკვებავი.

ამ ნიღბის კომპონენტები ძალიან კარგად ავსებს ერთმანეთს. შვრია საუკეთესოდ წმენდს ფორებს და ამზადებს კანს სასარგებლო ნივთიერებების შესაწოვად; არაჟნის ცხიმმჟავა არბილებს და ამშვიდებს კანს, ნუშის რძე კი არეგულირებს კანში წყლის ბალანსს და იცავს მას გამოშრობისგან.

# ძველ ეგვიპტეში ავადმყოფობის მიზეზად არაჯანსაღი საჭმელი ითვლებოდა

## „ყველა ექიმის ოსტატობის საიდუმლო გულის მუშაობის ცოდნაშია“



ძველი ეგვიპტის მედიცინის ისტორიის შესახებ მდიდარ მასალას იძლევიან არა მარტო არქეოლოგიური გათხრები, არამედ სამარხებისა და პირამიდების კედლებზე, სარკოფაგებსა და სტელებზე არსებული სამედიცინო ხასიათის ძველეგვიპტური წარწერები. მაგ. ეგვიპტის დინასტიის მეფის ნეფერირკა-რას (XXV საუკ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე) მთავარი არქიტექტორის უაშპტახას აკლდამის კედელზე წერია, რომ ის უეცრად გარდაიცვალა ფარაონის თვალწინ. ეს არის ყველაზე ძველი ცნობა ავადმყოფობაზე, რომელიც ძალზე წააგავს ინსულტს ან მიოკარდიუმის ინფარქტს.

უძველესი სამედიცინო პაპირუსების არსებობაზე მოწმობენ ძველი ისტორიკოსებიც. მაგალითად, მანეფონი გვამცნობს, რომ I დინასტიის მეორე მეფე ატოტისი დახელოვნებული ექიმი ყოფილა და შეუდგენია სამედიცინო ტექსტი ადამიანის აღნაგობის შესახებ.

კახუნის პაპირუსის (დაახლოებით 1800 წელი ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ერთ-ერთი განყოფილება ეძღვნება ნაადრევ და დაგვიანებულ მშობიარობას, ხოლო მეორე – ცხოველების მკურნალობას. ბრუგშის პაპირუსი (დაახლოებით 1450-1350 წლები ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ჩვენამდე მოღწეულ პაპირუსთაგან ყველაზე ძველი დოკუმენტია ბავშვთა დაავადებების მკურნალობის შესახებ.

ბერლინის პაპირუსი (დაახლოებით 1300 წელი ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ეძღვნება სისხლძარღვების დაავადებებს. ყველაზე სრულ ინფორმაციას ძველი ეგვიპტის მედიცინის შესახებ გვაძლევს ორი პაპირუსი: ებერსის (ჩვ. წ. აღრიცხვამდე დაახლოებით 1550 წელი) დიდი სამედიცინო პაპირუსი და ტრაქტატი ქირურგიის შესახებ – სმიტის პაპირუსი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, უფრო ადრე, ჩვ. წ. აღრიცხვამდე III ათასწლეულში უნდა იყოს შედგენილი ლეგენდარული ექიმის იმხოტეპის მიერ.

ებერსის პაპირუსი შედგება 108 ფურცლისაგან, საერთო სიგრძით – 20,5მ. ის მოიცავს 900-მდე წამლის აღწერილობას. აქ თავმოყრილია საჭმლის მომნელებელი, სასუნთქი გზების, ყელ-ყურ-ცხვირის, დამწვრობის, სისხლდენის, თვალის დაავადების, კანის, პარაზიტული და სხვა დაავადებების მკურნალობისათვის გამიზნული წამლების დამზადების წესები და სავსებით ამართლებს თავის დასახელებას: „სხეულის ყველა ნაწილისათვის წამლების დამზადების წიგნი.“

სმიტის პაპირუსი ქირურგიის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტებიდან ყველაზე ძველია, რომელიც წარმოადგენს 4,68 მ სიგრძისა და 33 სმ-ის სიგანის პაპირუსის ლენტს და შედგება 17 სვეტისაგან. აქ აღწერილია ქალას ძვლების, ტვინის, კისრის მალების, წინამხრის, გულმკერდის ყაფაზის, ხერხემლის დაზიანებებისა და მათი მკურნალობის 48 შემთხვევა.

ეგვიპტური მუმიების შესწავლაც იძლევა კონკრეტულ ცნობებს ძველი ეგვიპტელების დაავადებათა შესახებ. მაგ., სახსრებისა და ძვლების დაავადებები (ოსტეოსარკომა, პოლიომიელიტი, ნიკრისის ქარი და სხვ.), ყბებისა და კბილების, სისხლძარღვთა (ათეროსკლეროზი), პარაზიტული, ინფექციური (ყვავილი, მალარია, ჭირი) და სხვა დაავადებები. ისეთი მძიმე ინფექციური დაავადებები, როგორიცაა ყვავილი, მალარია, შავი ჭირი ძველი ეგვიპტელებისთვისაც იყო ცნობილი. ამას მოწმობენ ისტორიკოსთა ნაწერები, ყვავილის ჩირქგროვები რამზეს II სახის კანზე, მუმიების კანზე აღმოჩენილი შავი ჭირის ჩხირები და სხვა მტკიცებულებები.

ძველ ეგვიპტელებს ღრმა ცოდნა გააჩნდათ ადამიანის ორგანოების შესახებ. მათ შორის მნიშვნელოვანია ჩვენამდე მოღწეული ტრაქტატი თავის ტვინის აღწერილობით. მათი აზრით, თავის ტვინის დაზიანება სხვა ორგანოების დაავადებას იწვევდა. განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ გულს.

ებერსის ეტრაქტში ნათქვამია, რომ ყველა ექიმის ოსტატობის საიდუმლო გულის მუშაობის ცოდნაშია.

დაავადებების უმნიშვნელოვანეს მიზეზად ძველ ეგვიპტეში არაჯანსაღი საჭმელი ითვლებოდა. ჰეროდოტეს მიხედვით, ძველი ეგვიპტელები კუჭს ისუფთავებდნენ თვეში ერთხელ სამი დღის განმავლობაში. გარდა ამისა, ადამიანის დაავადების მიზეზად თვლიდნენ გარდაცვლილთა სულებს, რომელთა გამოდევნას ორგანიზმიდან ისინი ცდილობდნენ წამალში არასასიამოვნო გემოს მქონე და საჭმელად უვარგისი ნივთიერებების დამატებით.

კბილის ექიმის პროფესია უხსოვარი დროიდან არსებობდა ეგვიპტეში. ბილის მკურნალობა ძველ ეგვიპტეში კონსერვატორულ ხასიათს ატარებდა და კბილზე ან დაავადებულ ღრძილზე სამკურნალო ხსნარებისა და პასტების გამოყენებით ამოიწურებოდა. ებერსის პაპირუსში მოყვანილია აღწერა 11 წამლისა, რომლებიც ხელს უწყობენ პირის ღრუს გაჯანსაღებასა და კბილების გამაგრებას, კურნავდნენ ღრძილების ანთებას და უამებდნენ კბილის ტკივილს. პაპირუსში აღწერილია ამოვარდნილი ქვედა ყბის ჩასმის შემთხვევა.

ბერძნები ეგვიპტელებს მდიდარი სამედიცინო ტრადიციების გამო მედიცინის „გამომგონებლებს“ უწოდებდნენ.

# ნერვული დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

ნევრასთენია ნევროზის ერთ-ერთი სახეა, რომელიც გამოხატულია ნერვული სისტემის აშლილობით. ავადმყოფს ახასიათებს გაღიზიანებადობა, ფხიზელი ძილი, გულისცემის გახშირება, თავის ტკივილები, საერთო სისუსტე, ავადმყოფური რეაქციები ხმაურზე, შუქზე და ა.შ.

* 1 ჩაის კოვზ ვალერიანას დაქუცმაცებულ ფესვებს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს. აჩერებენ 20 წუთი. სვამენ თბილ ნაყენს ძილის წინ.

* 1 სუფრის კოვზ ვალერიანის ძირებს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა ცივ წყალს. აჩერებენ 6-8 საათი. წურავენ.

მიღება: თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში. ბავშვებს ჩაის კოვზით.

* 1-2 სუფრის კოვზ შავბალახას ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. აჩერებენ გაციებამდე. წურავენ. იღებენ 1-2 სუფრის კოვზს 3-5-ჯერ დღეში 20 წუთით ადრე ჭამამდე.

* 1 სუფრის კოვზ კუნელის დაჩეჩქვილ ნაყოფებს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. აჩერებენ 2 საათი (ჰაერლუმელში ან თერმოსში). იღებენ 1-2 სუფრის კოვზს 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

იღებენ წითელი კუნელის ყვავილსა და ნაყოფს. 2 სუფრის კოვზ ნაკრებს ასხამენ 3 ჩაის ჭიქა მდუღარეს. აჩერებენ თერმოსში 2 საათი. წურავენ. იღებენ 1/2 ჩაის ჭიქას დღეში 3-ჯერ ჭამამდე 30 წუთით ადრე.

* 2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ბალახს ასხამენ 2 ჩაის ჭიქა მდუღარეს. წურავენ გაციებულს. იღებენ 1 დღის განმავლობაში.

* ტიბეტური მედიცინის რჩევით იღებენ ყოველდღიურად ერთ მიღებაზე 30 გრამ კაკალს, 20 გრამ ქიშმიშს და 20 გრამ ყველს. ეს საშუალება ხსნის დაღლილობას, თავის ტკივილს, აძლიერებს გულის კუნთსა და ნერვულ სისტემას.

* 1 ჩაის ჭიქა თბილ წყალში გახსნილი 1 სუფრის კოვზი თაფლის მიღება ძილის წინ მოქმედებს, როგორც საძილე საშუალება. ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

* 1 სუფრის კოვზ ასკილის ნაყოფს დაასხით ერთი ჭიქა წყალი. ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში. 1 დღე-ღამის შემდეგ ნაყენი მზადაა. მიიღეთ ნახევარი ჭიქა დღეში სამჯერ. ბავშვებს 1/8-1/4 ჭიქას აძლევენ ერთ მიღებაზე.

გაფრთხილება: უნდა გვახსოვდეს, რომ ასკილის ნაყოფის ნახარშების ან ნაყენების გამოყენება ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაუშვებელია მათთვის, ვისაც აქვს თრომბოფლებიტი.

ორ სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ ჟოლოს ფოთლებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, მიღებული ნაყენი ერთი დღის დოზაა.

* 2 სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ ჟოლოს ფოთლებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი. გააციეთ და მიიღეთ სამჯერ დღეში 100 გრამის ოდენობით.

* კაპარის დაქუცმაცებულ და გამხმარ ფესვებს ადუღებულ წყალს ასხამენ (20 გრამი ფესვები 200 გრამ წყალზე), თავზე მჭიდროდ ახურავენ და დგამენ ოთახის ტემპერატურაზე მის გაგრილებამდე. შემდეგ გადაწურავენ და მიიღებენ დღეში 3-ჯერ 50 გრამის ოდენობით.

* კატაბალახას ფესვებს შეფარდებით 1:5, დაასხით 70%-იანი არაყი ან სპირტი. დადგით ოთახის ტემპერატურაზე ერთი კვირის განმავლობაში. ამის შემდეგ სითხე გაწურეთ ნარჩენებთან ერთად. მიიღეთ დღეში სამჯერ 15-20 წვეთი.

* არყის ახალ ფოთლებს წვრილად აქუცმაცებენ, რეცხავენ ანადუღარი ცივი წყლით. ამ წყალს ღვრიან, შემდეგ 40-50 გრადუს ტემპერატურის ანადუღარ წყალს ასხამენ და სამნახევარი საათის განმავლობაში დგამენ, წყალს გადაასხამენ, დაქუცმაცებულ ფოთლებს წურავენ. ამის შემდეგ ნაყენს დადგამენ 6 საათის განმავლობაში, ნალექს მოაცილებენ. მოხმარებისთვის გამზადებულ ნაყენს ინტენსიური მწვანე მოყვითალო ფერი აქვს, ოდნავ მწარე გემოთი.

მიიღეთ: 50-100 გრამი, ზოგჯერ 200 მლ დღეში 2-3-ჯერ ჭამამდე.

* ნევროზის მსუბუქი ფორმების დროს დალიეთ მაყვლის ძირების ნაყენი, თავშავას ჩაი, ჭინჭრის ნაყენი, ჭინჭრის თავების ნაყენი.

* ხელის მუჭში ჩაიყარეთ 3-4 ცალი კაკალი და ნელ-ნელა ატრიალეთ თითების დახმარებით. ამგვარი თერაპია უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. დადგენილია, რომ ხელის მტევნების მუშაობა ფსიქოლოგიურ სიმშვიდეს იწვევს და ტვინის ცენტრებში გადაღლილობის განვითარებას დროებით აჩერებს, ვინაიდან თითების ბოლოებში არსებული ურიცხვი ნერვული დაბოლოებები უშუალოდ თავთან არის დაკავშირებული. ამგვარი მანიპულაციის შედეგად ხელებში აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ადამი-



ანის ემოციურ მდგომარეობას და ფიზიკურ ჯანმრთელობას უწყობს ხელს.

* აიღეთ 10 გრამი (1-1,5 სუფრის კოვზი) კატაბალახას ფესვები და ფესურები, მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური, დადგით დაბალ ცეცხლზე 30 წუთის განმავლობაში. გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ. დაუმატეთ ანადუღარი წყალი საწყისი მოცულობით (200 მლ) მიღებამდე. შეინახეთ გრილ, ბნელ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.

* სვით ნაყოფების ერთ წონით ნაწილზე იღებენ ოთხ წონით ნაწილ 70%-იან სპირტს. მიღებულ ნაყენს დღეში ორჯერ, სადილობისა და ძილის წინ ერთ ნატეხ შაქარზე ან ჩაის კოვზ წყალში განზავებით 5-7 წვეთ ნაყენს იღებენ.

* 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული სვიის გირჩები მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 15 წუთი. გააციეთ 45 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. გადაწურეთ, შეავსეთ საწყის მოცულობამდე (200 მლ-მდე) მიიღეთ 1/2 ჭიქა 4 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

გაფრთხილება: არ დაგავიწყდეთ, რომ გირჩები შხამიანია და მისი ნაყენების დიდი დოზებით მიღებამდე შეიძლება გამოიწვიოს პირღებინება, ტკივილები მუცლის არეში, თავის ტკივილი, დამტვრეულობისა და საერთო სისუსტის გრძნობა.

* სვიის ნაყენის მომზადება ცივი სახითაც შეიძლება. ამისათვის 1-2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ გირჩებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ცივი წყალი, გააჩერეთ 12-14 საათი, გადაწურეთ და მიიღეთ ყლუპებით, ძილის წინ.

აგრეთვე რეკომენდებულია სვიის გირჩებით ავსებული ბალიშების ხმარებაც.

* დაამზადეთ შემდეგი ნარევის ჩაი: სურნელოვანი ჩიტისთვალა – 20 გრამი, მაყვლის ფოთლები – 25 გრამი, ურცი – 10 გრამი, შავბალახა – 20 გრამი, ბერულა – 15 გრამი. კარგად შეურიეთ ერთმანეთს. ნარევის 30 გრამს დაასხით 300 გრამი ადუღებული წყალი. გაგრილების შემდეგ გადაწურეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ 100 გრამის ოდენობით.

* მაყვლის ნედლი ნაყოფებისგან დაამზადეთ ჩაი და სვით ჩაის მაგიერ.

* 1 სუფრის კოვზ გვრილისებური ასტრიის ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააგრილეთ, გაწურეთ. სვით თითო სუფრის კოვზი დღეში 3-4-ჯერ ააქტიურებს და ამაგრებს ნერვულ სისტემას.

* * *

დეპრესიის მიზეზად ხშირად გვევლინება ორგანიზმში რძის მჟავის უკმარისობა. ყველაზე ხშირად ეს ემართებათ იმ ადამიანებს, რომლებიც მიირთმევენ დიდი რაოდენობით ხორცს და ძალიან ცოტა რძის პროდუქტებს. მეცნიერები რეკომენდაციას უწევენ სამთვიან მკურნალობის კურსს პურის ბურახითა და მჟავე კომბოსტოს წვენით.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# როდის გაფორმდება ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა?



კონსერვატორული პარტიის წევრმა და პრემიერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის უნდა დაიდოს სათანადო ხელშეკრულება.

– ყველაფერი გულდასმით უნდა იქნეს აწონილ-დაწონილი. მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი დანაკარგი, რასაც ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლის შედეგად მიიღებს, – თვლის მეი.

კონსერვატორების მეორე ლიდერი და პრემიერობის პრეტენდენტი ანდრეა ლიდსო მიიჩნევს, რომ ევროკავშირიდან გასვლა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაფორმდეს, რათა დაიდოს ხელშეკრულება ინგლისსა და ევროკავშირს შორის.

ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტაში დისკუსიები გრძელდება. ქვეყანაში კი მიმდინარეობს დემონსტრაციები ევროკავშირში დარჩენის მოთხოვნით.

# პუტინ-ერდოღანის შეხვედრა შესაძლოა უკვე ივლისში შედგეს



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ ერდოღანისა და პუტინის შეხვედრა შესაძლოა უკვე ივლისში მოხდეს.

ჩავუშოღლუმ თქვა, რომ შეხვედრა იყო დაგეგმილი სექტემბერში, დიდი ოცეულის შეხვედრისას, რომელიც ჩინეთში უნდა გაიმართოს, მაგრამ პუტინმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ ეს უფრო ადრე მოხდეს.

– ამჟამად ჩვენსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს შორის ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს, – აცხადებს ჩავუშოღლუ.

# ყაზახეთი: ტერორისტებს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს




ყაზახურმა სასამართლომ 2 თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა მათ, ვინც აქტობეში შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო.

ტერორისტებიდან ყველაზე უმცროსი 22 წლისაა, უფროსი – 29-ის.

პრეზიდენტმა ნაზარბაევმა განაცხადა, რომ ტერორისტები საზღვარგარეთულ ისლამურ ცენტრებთან იყვნენ დაკავშირებული.

# საუდის არაბეთი: თავდასხმა ამერიკის საკონსულოზე



საუდის არაბეთის ქალაქ ჯედეში განხორციელდა თავდასხმა აშშ-ს საკონსულოზე.

ტერორისტმა შაჰიდმა სცადა, ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში მოეყვანა. პოლიციელებმა მისი შეჩერება სცადეს.

აფეთქების შედეგად დაიღუპნენ თავად ტერორისტი და 2 პოლიციელი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# ამერიკელებმა დამოუკიდებლობის დღე ფეიერვერკებითა და ჰოთ-დოგებით იზეიმეს



ამერიკელებმა დამოუკიდებლობის დღე 4 ივლისი ვაშინგტონში ფეიერვერკების გაშვებით და ნიუ-იორკში ჰოთ-დოგების ჭამით იზეიმეს.

საზეიმო ღონისძიებები მთელი დღის მანძილზე იმართებოდა ფილადელფიაში, სადაც 1776 წლის 4 ივლის აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია იქნა მიღებული. საზეიმო ღონისძიების პროგრამაში შედიოდა ისტორიული საბუთების წაკითხვა, აღლუმი, წვეულება, კონცერტი და ფეიერვერკები.

ბარაკ ობამასთვის ეს ბოლო დამოუკიდებლობის დღე იყო, რომელიც მან ქვეყნის პრეზიდენტის რანგში აღნიშნა. ტრადიციის თანახმად, თეთრ სახლში მიწვეულები იყვნენ სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, ასევე სახელმწიფოს მეთაურის საყვარელი შემსრულებლები, მათ შორის მომღერალი ჟანელ მონე და რეპერი კენდრიკ ლამარი.

# ობამას გოგონებმა მადრიდის მაღაზიები შემოიარეს



აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას და მისი მეუღლის მიშელის შვილებმა საშამ და მალიმ ესპანეთის მთავარ ქუჩა გრან-ვიაზე მდებარე მაღაზიები შემოიარეს.

აღსანიშნავია, რომ გოგონები საყიდლებზე იმ მომენტში წავიდნენ, როდესაც მათი დედა კულტურის სახლში იმყოფებოდა ესპანეთის დედოფალ ლეტისიასთან ერთად.

ესპანეთში პრეზიდენტის ოჯახის სტუმრობით სრულდება საქველმოქმედო ტური, რომლის ფარგლებშიც მიშელ ობამა ყველას მოუწოდებს დაეხმარონ განვითარებადი ქვეყნების მოზარდ გოგონებს ხარისხიანი განათლების მიღებაში.

ობამა ქალიშვილებთან ერთად ტორეჰონ-დე-არდოს სამხედრო-საჰაერო ბაზაზე დაეშვა, რომელიც მადრიდიდან დაახლოებით 20 კილომეტრში მდებარეობს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკის პირველი ლედი აშშ-ში მას შემდეგ დაბრუნდება, როდესაც მისი მეუღლე ბარაკ ობამა მადრიდსა და სევილიას მოინახულებს 9-11 ივლისს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

## განცხადება

**ხაშურის რაიონის, სოფელ გომის მიმდებარედ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ დაგეგმილი აქვს არსებული ინერტული მასალებისა და ბეტონის მწარმოებელი საწარმოს ტერიტორიაზე ასფალტის მწარმოებელი საწარმოს მოწყობა.**

**საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია ქალაქ გორში, ბარნოვის ქუჩა №9ა (ტელეფონი: 599-70-80-55, ელ-ფოსტა: მაკიც362 მაილ.რუ).**

**მოსაზრებებისა და შენიშვნების მიწოდების ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში. 2016 წლის 26 აგვისტოს, 12 საათზე, ხაშურის რაიონის სოფელ გომის მიმდებარედ, საწარმოს ტერიტორიაზე შედგება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ნიკოლოზ ბასილაშვილმა რიოს ლიცენზია მოიპოვა



საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. ეს საქართველოს ოლიმპიური გუნდისთვის რიგით 38-ე ოლიმპიური ლიცენზიაა.

ბასილაშვილის ლიცენზია ეჭვქვეშ იდგა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უიმბლდონის საკვალიფიკაციო ეტაპი ჩააგდო და ბლომად ქულები დაკარგა. და მაინც, ბასილაშვილი რიოში გამორიცხვის მეთოდით მოხვდა, ანუ ზოგიერთი ქვეყნის ჩოგბურთელმა ოლიმპიადაზე გამგზავრებაზე უარი თქვა, რამაც ქართველ ჩოგბურთელს ბრაზილიაში გამოსვლის შესაძლებლობა მისცა.

დამოუკიდებლობის შემდეგ ბასილაშვილი იქნება პირველი ვაჟი ჩოგბურთელი, ვინც საქართველოს სახელით ოლიმპიადაზე გამოვა. ამის შანსი ჰქონდა 1996 წელს ირაკლი ლაბაძეს, მაგრამ მას ატლანტაში აღარ უთამაშია.

შეგახსენებთ, 31-ე ოლიმპიური თამაშები რიო-დე-ჟანეიროში 5-21 აგვისტოს გაიმართება.

# თბილისი კალათბურთში ქალთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს



პირველად, ქართული კალათბურთის ისტორიაში, საქართველო ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. 8-13 ივლისს თბილისში 18-წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონი გაიმართება.

ეს გახლავთ ევროპის ა და ბ დივიზიონების შემდეგ არსებული გოგონათა ტურნირი, რომელშიც ქალთა კალათბურთის თვალსაზრისით შედარებით მოკრძალებული ქვეყნები მონაწილეობენ. საქართველოს ქალთა კალათბურთში დიდი ტრადიციები აქვს, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებული ვაკუუმის ამოვსება და გოგონათა კალათბურთის განვითარება ახლაღა დაიწყო. შესაბამისად, საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე პირველ ნაბიჯებს დგამს. 2015 წლის თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების შემდეგ ეს იქნება გოგონათა საკალათბურთო ნაკრების მეორე ოფიციალური გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე.

ის, რომ საქართველოს დედაქალაქს 18-წლამდე გოგონათა ფიბა-ევროპის ოფიციალური ტურნირის მასპინძლობა ანდეს, განვითარების გზაზე სერიოზული გამოწვევაა. თბილისის ახალი სპორტის სასახლე ც დივიზიონის 15-ივე მატჩს უმასპინძლებს.

ტურნირში 7 ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ა ჯგუფში თავს მოიყრიან სომხეთი, ანდორა და უელსი, ხოლო ბ-ს საქართველო, მალტა, გიბრალტარი და კოსოვო შეადგენენ.

ჯგუფებში 2-2 საუკეთესო ჯვარედინი სისტემით ნახევარფინალებში დაწყვილდება, ხოლო პლეი ოფში ვერგასული გუნდები მე-5-7 ადგილებს გაინაწილებენ.

ჯგუფური ეტაპის მატჩები 8, 9 და 10 ივლისს გაიმართება, რის შემდეგაც, 11-ში გუნდები დაისვენებენ და 12 და 13 ივლისს პლეი ოფის თამაშებს ჩაატარებენ.

ც დივიზიონის გამარჯვებული მომავალი წლისთვის ევროპის ჩემპიონატის რანგით მაღალი დივიზიონის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას მიიღებს.

საქართველოს 18-წლამდე გოგონათა ნაკრების მეტოქე 8 ივლისს კოსოვო იქნება, 9-ში გიბრალტარს შეხვდებიან, ხოლო 10-ში – მალტას.

ყველა მატჩი 19:30 საათზე დაიწყება.

# ანასტასიას ოქრო და ორი ვერცხლი



ძალოსნობაში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ბოლო დღეს ქართველი გულშემატკივრის იმედი ანასტასია გოტფრიდს უკავშირდებოდა. შეგახსენებთ, რომ ამ გოგონამ ქართული ძალოსნობის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა და სულ რამდენიმე თვის წინ ნორვეგიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე (უფროსებში) ვერცხლის მოგება შეძლო, რაც პირველი მედალია, რომელიც საქართველოს დროშის ქვეშ მოასპარეზე ქალებმა ძალოსნობაში მოიპოვეს. ევროპის ვიცე ჩემპიონის ტიტულს ანასტასიამ მსოფლიოს ოქრო-ვერცხლიც დაუმატა.

ანასტასიამ ატაცში ოქრო მოიგო, აკვრაში ვერცხლი და ჯამშიც ვერცხლის მედალს დაეუფლა.

რაც შეეხება თავად ასპარეზობას ატაცში ანასტასიამ თავისზე 23 კილოგრამით მძიმე მეტოქე დაჯაბნა, გოტფრიდმა 116 კილოგრამი ატაცა, ჩაიდემ კი მხოლოდ 115. ატაცში ოქრო საქართველოს ნაკრების ყულაბას შეემატა.

აკვრაში ჩაიდე აშკარად კონკურენციის გარეშე იყო, ტაილანდელმა ეს დისციპლინა 150 კილოგრამით დაასრულა ანასტასია კი მხოლოდ 140 კილოგრამს დასჯერდა. შესაბამისად ჯამური ოქრო ტაილანდს ერგო, ქართველებმა კი ვერცხლი მოვიპოვეთ.

ამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი მერსი ოპეიემი ბრაუნი გავიდა (105 კგ, 131 კგ).

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# საფრანგეთი ნახევარფინალშია

## ისლანდიამ ევროპა დატოვა, ლაგერბეკმა — ისლანდია

**საფრანგეთი-ისლანდია 5:2**

**პარიზი.** სტად დე ფრანსი

1:0 ჟირუ (13), 2:0 პოგბა (20), 3:0 პაიეტი (43), 4:0 გრიზმანი (45), 4:1 სიგტორსონი (56), 5:1 ჟირუ (59), 5:2 ბიარნასონი (84)

**საფრანგეთი:** ლორისი, სანია, ევრა, კოშიელნი (მანგალა, 72), უმტიტი, მატუიდი, გრიზმანი, პოგბა, სისოკო, პაიეტი (კომანი, 80), ჟირუ (ჟინიაკი, 60)

**ისლანდია:** ჰალდორსონი, საევარსონი, სკულასონი, რ.სიგურდსონი, არნასონი (ინგასონი, 46), გუდმუნდსონი, გუნარსონი, ბიარნასონი, გ.სიგურდსონი, ბოედვარსონი (ფინბოგასონი, 46), სიგტორსონი (გუდიონსენი, 83)



ბოლო მეოთხედფინალურ მატჩში ბრძოლა არ შედგა. ხმაურიანი ისლანდიელები უკვე პირველივე ტაიმში იყვნენ კაპიტულირებულნი.

მატჩის დებიუტშივე ოლივი ჟირუმ გახსნა ანგარიში, ხოლო მე-20 წუთისთვის პოლ პოგბას თავური დარტყმის შემდეგ სხვაობა 2 ბურთი იყო. ტაიმის ბოლოს კი დმიტრი პაიესა და ანტუან გრიზმანის რიგი დადგა, რომლებმაც ყველა კითხვას გასცეს პასუხი.

მე-2 ტაიმი ფორმალობა იყო. ამიტომაც ისლანდიელები უფრო თამამად ათამაშდნენ და ბოლომდე გაიბრძოლეს. კუნძულელებმა მაინც გამონახეს ძალები, რათა თავი დაემახსოვრებინათ გულშემატკივრებისთვის და ეს გამოუვიდათ კიდეც.

პირველი გოლი კოლბეინ სიგტორსონის იყო, რომელსაც უმალ უპასუხა ჟირუმ და დუბლი გაიფორმა. ფრანგებს ნახევარფინალისთვის ძალების დაზოგვა სურდათ და უკვე გაკეთებულ მატჩში ყველაფერს ზოგავდნენ – ენერგიას, ძალებს, ფეხებს, ფეხბურთელებს... ამიტომაც კუნძულელები უფრო მეტს უტევდნენ, რამაც შედეგი მატჩის მიწურულს გამოიღო და ბირკირ ბიარნასონმა კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხა.

საბოლოოდ, 5:2... საფრანგეთი ნახევარფინალში, სადაც მძიმე გამოცდა ელის გერმანიის ნაკრებთან, ხოლო ისლანდია თავაწეული ტოვებს ევროპის ჩემპიონატს.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანტუან გრიზმანი***

ევროპის ჩემპიონატის საწყის 2 მატჩში გრიზმანი საერთოდ არ ჩანდა, ხოლო შემდეგ მოუმატა და ახლა 4 გოლით ბომბარდირთა დავაში ლიდერობს. ისლანდიელებთან ძალიან ლამაზი გოლის გარდა 2 საგოლე პასიც გააკეთა. თუმცა გარჯა არც სხვებს უნდა დავუკარგოთ. დიდებულად ითამაშეს ჟირუმ, პაიემ, პოგბამ...

***დიდიე დეშამი:***

– დაგეგმილის განხორციელება ადვილი არ იყო, მაგრამ პირველ ტაიმში მოვახერხეთ. შესვენების შემდეგ ცოტა მოვუკელით. ოლივიე ჟირუსა და ლორან კოშელნის გავუფრთხილდი. მათ წინა მატჩებში ყვითელი ბარათები მიიღეს და ასეთ შეხვედრაში მოთამაშეების „დაკარგვა" სისულელე იქნებოდა.

***ლარს ლაგერბეკი:***

– ასეთი მატჩები ბევრს გასწავლის და დასკვნები უნდა გავაკეთოთ. ეს კარგი შეხსენებაა იმისა, რომ კონცენტრაცია ყოველ წამს უნდა შევინარჩუნოთ.

# პერესი მადრიდელებს გასაოცარ ტრანსფერს ჰპირდება

მადრიდის რეალის პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა კლუბში არსებულ სიტუაციაზე ისაუბრა.

– ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. ვითვალისწინებთ, რომ მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ, დისკვალიფიკაცია ამოქმედდება, ამიტომ საკმაოდ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ზინედინ ზიდანთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, ვინაიდან წარმატებული გუნდის შექმნა გვსურს. რეალი აუცილებლად შემოგვთავაზებს ტრანსფერს, რომელიც ყველასათვის გასაოცარი და სასიამოვნო იქნება.

რა იქნება გასაოცარი, ამას ჯერ ვერ გეტყვით. ბრიტანულ პრესაზე დაყრდნობით, შეგვიძლია მხოლოდ იმის თქმა, რომ ლონდონის ტოტენჰემმა მადრიდელებისგან შეთავაზება უგო ლორისის თაობაზე მიიღო.

ლორისი ზიზუს ფავორიტია და პერესი მზად არის, უგოს სანაცვლოდ 41 მილიონი ევრო გადაიხადოს.

სამაგიეროდ, მანჩესტერ სიტის თავკაცმა, პეპ გვარდიოლამ თვალი მადრიდისტებს დაადგა.

პირველი არჩევანი ტონი კროოსია, რომლის სანაცვლოდაც, სიტი 75 მილიონ ევროს ჩამოდის. მეორე ინფორმაციით კი, გუარდიოლას სიმპათია ალვარო მორატაც გახლავთ, რომელიც ევროპის ჩემპიონატზეც საოცარ ფორმაში იყო.



ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას გადაიხდის მანჩესტერული მხარე მორატასთვის და რა პოზიცია აქვს ფლორენტინო პერესს.

არ არის გამორიცხული, რომ რეალი კოლუმბიელმა ხამეს როდრიგესმაც დატოვოს. ევროპულ გამოცემებზე დაყრდნობით, ფრანგული პსჟ როდრიგესთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

პსჟ-ს ახალი მწვრთნელი, უნაი ემერი კოლუმბიელი ფეხბურთელის კანდიდატურით მოხიბლულია და თვლის, რომ ნახევარდაცვას ძალიან კარგად მოერგება.

ფრანგები მადრიდელი „ათიანის" სანაცვლოდ 70 მილიონი ევროს გადახდას გეგმავენ.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც რეალიდან ეპატიჟებიან, მატეო კოვაჩიჩია. რეალის ამომავალი ვარსკვლავით იტალიური მილანი ინტერესდება.

როგორც მოგეხსენებათ, ხორვატი ფეხბურთელი „ბლანკოსის" რიგებში საკმარის სათამაშო დროს ვერ იღებს, რაც პირველ რიგში გუნდში არსებული უდიდესი კონკურენციითაა განპირობებული.

22 წლის ფეხბურთელი მადრიდელთა რიგებში მილანის ინტერიდან გადავიდა, რომლის სატრანსფერო ფასი იმ დროს 31 მილიონს შეადგენდა. ტონი კროოსისა და ლუკა მოდრიჩის ტანდემის შემხედვარე, რთულია კოვაჩიჩის საჭიროება იპოვო გუნდის თამაშში. მიმდინარე სეზონში მან მხოლოდ 8-ჯერ დაიწყო სასტარტო შემადგენლობაში.

მილანის ხელმძღვანელობა მზადაა, რომ ხორვატ ფეხბურთელში 36 მილიონი ევრო გადაიხადოს და ნიჭიერი ფლეიმეიკერი თავიანთ რიგებში იხილოს.

# ახალი სუპერთასი — კოპა ამერიკა და ევროპა

სამხრეთამერიკული ფეხბურთის კონფედერაციის (კონმებოლი) პრეზიდენტი ალეხანდრო დომინგესი საინტერესო წინადადებით გამოჩნდა სოციალურ ქსელში, რასაც უეფამ მხარი დაუჭირა.

საქმე ეხება კოპა ამერიკა 2016-ისა და ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის გამარჯვებულ ეროვნულ ნაკრებებს შორის მატჩის ორგანიზების იდეას.

როგორც ირკვევა, დომინგესმა ცოტა ხნის წინ უეფაში შესაბამისი თხოვნის წერილიც გაგზავნა. კონმებოლის პრეზიდენტი ევროპელებს შეხვედრის გამართვას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სთავაზობდა.

– შეხვედრის ორგანიზების იდეასთან დაკავშირებით ევროპელთაგან დადებითი პასუხი მივიღეთ, ახლა მატჩის გამართვის შესაძლო თარიღებზე ვიფიქრებთ, – წერს დომინგესი.

შეგახსენებთ რომ, კოპა ამერიკის 2016 წლის გათამაშების ფინალურ შეხვედრაში, რომელიც 27 ივნისს ამერიკაში ჩატარდა, ჩილეს ნაკრებმა არგენტინის ეროვნული გუნდი პენალტების სერიაში დაამარცხა (4:2). რაც შეეხება ევრო 2016-ს, საფრანგეთში მიმდინარე ევროპირველობის ტრიუმფატორის ვინაობა 10 ივლისს უნდა გაირკვეს.




ასე რომ, ჩილეს ნაკრები მეტოქეს ელის...

# შედეგები

**3 ივლისი**

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

საფრანგეთი-ისლანდია ................. 5:2

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისნერი-ცონგა | 7:6, | 6:3, 6:7, | 2:6, | 17:19 |
| გასკე-ვინოლასი | 2:6, | 7:6, | 6:2, | 6:3 |
| პუიე-დელ პოტრო | 6:7, | 7:6, | 7:5, | 6:1 |
| ზვერევი-ბერდიხი | 3:6, | 4:6, | 6:4, | 1:6 |
| კირგიოსი-ლოპესი | 6:3, | 6:7, | 6:3, | 6:4 |
| ვესელი-სოზა | 6:2, | 6:2, | 7:5 | |

**ქალები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესნინა-ბოსერაპი | 7:5, | 7:5 | |
| ვანდევეი-ვინჩი | 6:3, | 6:4 | |
| სტივენსი-კუზნეცოვა | 7:5, | 2:6, | 6:8 |
| ბაჩინსკი-პავლუჩენკოვა | 3:6, | 2:6 | |
| ს.უილიამსი-ბეკი | 6:3, | 6:0 | |
| მაკაროვა-სტრიცოვა | 6:4, | 6:2 | |

მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# პოგბა რეალში გადადის?



პოლ პოგბას ტრანსფერზე საუბრები არ წყდება. თითქმის ყველა საფეხბურთო გრანდს სურს, რომ პოგბა თავის რიგებში იხილოს.

ყველაზე მეტად რეალი და მანჩესტერ იუნაიტედი აქტიურობენ. ინგლისელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 130 მილიონი ევრო გადაიხადონ, თუმცა პოგბას მანჩესტერში გადასვლა არ სურს. გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფრანგ ფეხბურთელს რეალში თამაში უნდა და იუვენტუსს მხოლოდ მადრიდული კლუბის გამო დატოვებს. ეს დაადასტურა პოგბას მამამაც, რომელმაც თქვა, რომ მის შვილი რეალის მიმართ კარგად არის განწყობილი.

იუვენტუსი პოგბას დათმობას 100 მილიონ ევროზე ნაკლებად არ აპირებს.

# პაბლო ზაბალეტა რომაში გადადის



მანჩესტერ სიტის მცველი პაბლო ზაბალეტა ზაფხულში, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს და სათამაშოდ იტალიაში გადავა.

მას რამდენიმე იტალიური კლუბი ეპატიჟება, თუმცა ყველაზე მეტად რომა აქტიურობს და ზაბალეტაც ალბათ ამ გუნდში გააგრძელებს თავის საფეხბურთო კარიერას.

პაბლო უკვე 31 წლის არის და ის მანჩესტერ სიტიში ჯერ კიდევ 2008 წელს გადავიდა. მას შემდეგ ზაბალეტა მანჩესტერული გუნდის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ხოსეპ გვარდიოლას გეგმებში ის არ შედის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# საქართველოს კადეტ ძიუდოისტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონია



საქართველოს ვაჟთა კადეტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. ფინეთის ქალაქ ვანტააში გამართული გუნდური ჩემპიონატის ფინალში ქართველმა ძიუდოისტებმა უნგრელი თანატოლები 5:0 დაამარცხეს.

ფინალამდე საქართველოს ნაკრებმა ასევე 5:0 მოუგო აზერბაიჯანსა და თურქეთს, ხოლო ნახევარფინალში რუმინეთს 4:1 სძლია. ბრინჯაოს მედლები საფრანგეთისა და რუსეთის ნაკრებებმა მოიპოვეს. საქართველოს ვაჟთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდა.

ინდივიდუალურ შეჯიბრში ევროპის ჩემპიონის ტიტული საქართველოს გოგონათა ნაკრების წევრმა ეთერ ლიპარტელიანმა (57კგ) მოიპოვა. გარდა ამისა, ქართველი ძიუდოისტების ანგარიშზე კიდევ 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალია. ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ საბა გრიგალაშვილი (60კგ) და სოფიო სომხიშვილი (+70კგ), ხოლო ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს ალეკო მამიაშვილმა (66კგ), გიორგი ჩიქოვანმა (90კგ) და ნიკა დონლვანმა (+90კგ).

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## სამართალი

# კანდელაკის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



კანდელაკის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. ბარლდების მხარე ბექა დემეტრაძისთვის პატიმრობის, დაცვის მხარე კი აღკვეთის ღონისძიების სახით 3 ათას ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

სახელწიფო ბრალდების ინფორმაციით, ბექა დემეტრაძემ გამოძიებისთვის უცნობ პერიოდში შეიძინა 12 კალიბრიანი სანადირო თოფი, გადაჭრა და უკანონოდ ინახავდა. 2016 წლის 1-ელ ივლისს კი ღამის საათებში აღნიშნული იარაღით, კანდელაკის ქუჩაძე მიხეილ ცხაკაიას ორჯერ ესროლა.

გამოძიების ინფორმაციით, მიხეილ ცხაკაიას ბრალდებულის ყოფილ მეუღლესთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა და ბექა დემეტრაძემ მას გადაჭრილი სანადირო თოფით სასიკვდილო ჭრილობები შურისძიების მიზნით მიაყენა. როგორც პროკურორმა ნიკოლოზ ნინიშემ სასამართლო პროცესზე აღნიშნა, ბრალდებული დაკავების მომენტში მიმალვას შეეცადა.

თავის მხრივ, ბრალდებულის ადვოკატმა ნინო ლალიშვილმა აღნიშნა, რომ ბექა დემეტრაძე აღიარებს ჩადენილ ქმედებას და გამოძიებისთვის მიცემული მისი ჩვენებიდან გამომდინარე, იცოდა რაზეც მიდიოდა.

ადვოკატის ინფორმაციით, ბრალდებული დაკავებისას მიმალვას არ ცდილობდა და გამოძიებასთან თანამშრომლობს. აქედან გამომდინარე, ნინო ლალიაშვილმა მოსამართლის წინაწე იშუამდგომლა, რომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო, 3 ათასი ლარი შეფარდებოდა. ადვოკატის მტკიცებით, არ არსებობს ბრალდებულის მხრიდან მიმალვისა ან მტკიცებულებების განადგურების საშიშროება.

საბოლოოდ მოსამართლე რომან ხორავამ არ გაიზიარა დაცვის მხარის შუამდგომლობა და ბრალდებულს, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევ ბექა დემეტრაძეს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

**ინტერპრესნიუსი**

# კახეთში მამის დაჭრის ბრალდებით შვილი დააკავეს



კახეთში მამის დაჭრის ბრალდებით შვილი დააკავეს, – ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

თელავის რაიონის სოფელ კისისხევში შვილმა მამა ცივი იარაღით დაჭრა. სავარაუდოდ, მამა-შვილი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ინციდენტი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. მამის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

**ინტერპრესნიუსი**

დაბადების დღეს ვულოცავთ საქართველოს ეროვნული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს

ვლადიმერ ჯანჯავას

მის ოჯახსა და სამეგობროს. წარსულში ქ.თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ლიგების ორდენის კავალერს.

*პატივისცემით, მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და საქართველოს ვეტერანი მოჭიდავეების სახელით, თამაზ მაჭავარიანი*

# ასტროპროგნოზი

## 5 ივლისისთვის



**ვერძი** – ფინანსური მდგომარეობა გიუარესდებათ. მომავალი ერთობ ბუნდოვანია. მოსალოდნელია კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა დაფიქრებისათვის. მობილიზებული ხართ ფილოსოფიური აზროვნებისათვის. **ტყუპები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნუ გადაიღლებით. პარტნიორების მხარდაჭერის იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებათ. **კირჩხიბი** – მეგობრებთან შეხვედრა გაგახარებთ, მაგრამ ზომიერება დაიცავით. ზედმეტად არ გადაიღალოთ. ბუნების წიაღში განმარტოება სასიკეთოდ წაგადგებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლა არ არის სასურველი. ფინანსურად არასტაბილური მდგომარეობა გაქვთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ქალწული** – მცირედი სიძნელეები ნუ შეგაშინებთ. არ გარისკოთ. საქმიანი პარტნიორები მახეს გიგებენ. **სასწორი** – ეცადეთ, ჯანმრთელობა გაიუმჯობესოთ, ორგანიზმი გაიკაჟოთ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმის შესასრულებლად კეთილისმყოფელი დღეა. დიდი ხნის ნატვრა გისრულდებათ და თავს ბედნიერად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ გარშემომყოფებთან კონფლიქტს. ინტიმურ სფეროში სირთულეებია მოსალოდნელი. **თხის რქა** – ვარსკვლავები არ გწყალობენ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მოგზაურობისას და საჭესთან ჯდომისას. **მერწყული** – ერიდეთ ჩხუბსა და აყალმაყალს. დათმობა და კომპრომისი კონფლიქტს თავიდან აგაცილებთ. **თევზები** – აქტიურობის პერიოდი გაქვთ. გააანალიზეთ პრობლემების მიზეზები და შეეცადეთ მათ აღმოფხვრას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. საქართველოში გავრცელებული წითელი, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 2. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 3. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 5. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 10. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 11. თავადის უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 12. კომპიუტერული თამაშების მოყვარული; 13. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 16. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 17. მსუბუქი სამრეწველო საქონლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 19. ისტორიული ციხე-ქალაქი ტაო-კლარჯეთში; 21. ქართული ბანკი; 23. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში.

**თარაზულად:** 6. ერთმანეთთან ახლო მდებარე კუნძულთა ჯგუფი ოკეანეში; 7. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსენოლას" ფეხბურთელი; 8. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 9. გარემომცველ პირობათა ერთობლიობა; 14. ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერი; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი, ბრიტანეთის საპატიო რაინდის ტიტულის კავალერი; 18. მუსლიმანთა მთვარის კალენდარი; 20. თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 22. ყვითელი ფერის ლითონი; სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 24. ყველაზე დიდი ტბა მექსიკაში; 25. უნივერსიტეტი ინგლისში; 26. შტატი ბრაზილიაში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**შვეულად:** 6. კარეტა; 7. მანგუსტი; 8. ენდემი; 10. უცუნა; 11. გინეკოლოგი; 13. მაგნიუმი; 16. პოპური; 19. აპატრიდი; 20. კურდღელი.

**შვეულად:** 1. ბარნოვი; 2. ატამი; 3. კარტინგი; 4. ნუტაცია; 5. სილვანერი; 9. კალამი; 12. მონსტრი; 14. ავენიუ; 15. იარა; 17. რანდა; 18. სარი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პაროდია; 2. ქიმია; 3. ჟანრი; 4. დო; 5. ემუ; 6. ანაფორა; 7. ანოდი; 8. სკვინჩა; 9. ანოა; 10. რადონი; 11. ომარ; 12. სიმფონია; 13. ნაჟური; 14. მო; 15. გემი; 16. სიგარა; 17. რანჩო; 18. მორიკონე; 19. მოკო; 20. ბურიმე; 21. მანანა; 22. რომანსი; 23. რაისშინა; 24. პიცა; 25. არადანი; 26. დრო; 27. ნანტი; 28. ეკონომია; 29. ორდენი; 30. მია.

**სურათებზე:** ნორმა ბლუმი; ფაბიო კოენტრაო.

# გიორგი ვარდოსანიძეს საქართველოდან გაქცევა სურს



მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობს გიორგი ვარდოსანიძეს საქართველოდან გაქცევა სურს. ამის მიზეზად ხელოვანი ქვეყანაში გამეფებულ მარაზმს ასახელებს.

**გიორგი ვარდოსანიძე:**

– თუ უეცრად აღმოაჩინეთ, რომ ქვეყნიდან გავიქეცი სხვაგან საცხოვრებლად, არ გეწყინოთ, ჩემი ქონება თანაბრად გაიყავით. მომბეზრდა ამ მარაზმში ცხოვრება. ვნახავ, სხვაგან რა ხდება ... იქნებ უკეთესია...

პ.ს იმიტომ არ დავწერე, რომ რამე მჭირს, ჯანმრთელად ვარ, უბრალოდ გარემოა ზედმეტად არაჯანმრთელი!

# ოპერის თეატრი პორნოს გადასაღებ არენად გადაიქცა?



– სოს! თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი პორნო ფილმებისათვის გადასაღებ არენად გადაიქცა! ესეც თქვენი კინწურაშვილის ევროპული მენეჯმენტი!– ეს განცხადება მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა მეცო-სოპრანომ მზია ნიორაძემ გააკეთა და სოციალურ ქსელში გაავრცელა ფოტოები, სადაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გადაღებები მიმდინარეობს.

– ოპერის თეატრში დღეს მთელი დღე პორნო ეროტიული სცენების გადაღება იყო. რა დონის ხელმძღვანელიც ჰყავს თეატრს... იმას ჰკადრებს ამ წმინდა ხელოვნების ტაძარს!! და ასეთ ღონისძიებებზე ქირავდება ეს ყოფილი პრემიერის მიერ ახალგარემონტებული ოპერის თეატრი დღეში 3-5 ათას ლარად.

ერთმა ნაცნობმა პიროვნებამ გამოსაცდელად დარეკა და ოპერაში 600-კაციანი ბანკეტი მოითხოვა. ელოდა, რომ ეტყოდნენ... „თქვენ ავად ხომ არ ხართო“. გვარს არ დავასახელებთ და ერთმა თანამშრომელმა სრულიად სერიოზულობით უპასუხა... 600-ს ვერ გავაჩავთ და 300-400 კაცამდე შეიძლებაო. (!!!)

დავით კინწურაშვილი ყველა ბრალდებას პასუხობს და აცხადებს, რომ ისინი უსაფუძვლოა.

ინტერნეტში ფოტოებისა და ვიდეოების გავრცელების შემდეგ, თეატრმა შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ და მისი დირექტორის მერაბ კოკოჩაშვილის წერილი გაავრცელა, რის საფუძველზეც გაქირავდა ოპერის შენობის რამდენიმე სივრცე ამავე კინოსტუდიაზე.

ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა გადაღებების პროდიუსერმა ხათუნა ხუნდაძემ:

– საყვარელო მეგობრებო, არაფერი საგანგაშო ოპერაში არ მომხდარა. ულამაზეს ეპიზოდს ვიღებდით ჩვენი ულამაზესი ოპერის შენობაში. გადაღების თემა მე-19 საუკუნის საფრანგეთის სალონური გარემოა, რომელიც ულამაზესი გამოდის და უახლოეს მომავალში დავდებ ინტერნეტ სივრცეში. ფოტოები, რომელიც ინტერნეტით გავრცელდა, გადაღებულია ბექსტეიჯში და არ ასახავს რეალურ სიუჟეტს.

# პლანეტა მერკურიზე ღრმულს შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა



იუნესკოს მიერ 2016 წელი შოთა რუსთაველის წლად გამოცხადდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოში მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებები აღინიშნება.

შოთა რუსთაველის სახელი პლანეტა მერკურის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში არსებულ ღრმულს ეწოდა. ინფორმაცია ამის შესახებ ნასას ოფიციალურ გვერდზეა გავრცელებული:

– 2011 წლის 28 ივლისს გადაღებულ ამ ფერად ფოტოზე აღბეჭდილია პლანეტა მერკურის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში არსებული ღრმული, რომელსაც შოთა რუსთაველის სახელი უწოდეს. ღრმულს გააჩნია ბრტყელი, მოსწორებული ფსკერი. ის შემოსაზღვრულია მცირე ზომის დაქანებითა და წრიულად განლაგებული მაღლობებით.

ნასას ოფიციალური გვერდი მკითხველს შოთა რუსთაველის შესახებ მცირე ინფორმაციას აწვდის: „რუსთაველი ქართველი პოეტი იყო, რომელიც 1172-1216 წლებში ცხოვრობდა. ის ცნობილია ეპიკური ქართული პოემით „ვეფხისტყაოსანი“. მისი სახელი მინიჭებული აქვს შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიას, უმაღლეს ჯილდოს, რომელიც ქართველ ხელოვანებსა და მწერლებს გადაეცემათ.“

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ათონის მთის უნიკალური კადრები ახალ ფილმში გაერთიანდა




„ათონი ათასწლოვანი“ – ასეთია ახალი დოკუმენტური ფილმის სახელწოდება, რომლის ავტორიც ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდიაა.

ფილმში შესულია ათონის წმინდა მთის სამი მონასტრის ზოგრაფის, ვატოპედისა და ივერონის უნიკალური კადრები. ფილმში მაყურებელი პირველად იხილავს ათონსა და ზუგდიდის ვლაქერნის ხატში დაცული ღვთისმშობლის სარტყლის საოცარ ისტორიას.

გადამღებ ჯგუფს საშუალება ჰქონდა ფირზე დაეფიქსირებინა ივერონის მონასტერში არსებული ქართველ ქტიტორთა ფრესკები, ფილმში შესულია ძვირფასი ქართული ხელნაწერების და ნაქარგობების ისტორია. გადაღებულია ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიიდან გამოსვენებისა და ლიტანიობის კადრები, ამავე ხატის ქართული ასომთავრული წარწერა.

გადამღები ჯგუფის წევრებს საშუალება ჰქონდათ ზოგრაფის მონასტერში ბერების აკლდამა, კარიესში კი ექვთიმე მთაწმინდელის ფრესკა ენახათ. ფილმის მონტაჟი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. უნიკალური კადრების გარდა, ფილმში გამოყენებულია მუზეუმში დაცული საარქივო მასალები.

ფილმის სცენარის ავტორი და რეჟისორი გიორგი კალანდიაა, ოპერატორი გიორგი გოგელაშვილი, მონტაჟის რეჟისორი სოსო ხარატიშვილი, ფილმის პროდიუსერი და ექსპედიციის ინიციატორი კი სოფიო ხუნწარია.

შემოქმედებითი ჯგუფის გადაწყვეტილებით, ფილმის ეთერში გასვლამდე მისი საჯარო პრეზენტაცია მოეწყობა.

*კალეიდოსკოპი*

# მოპსის და კატის თავგადასავალმა ინტერნეტი დაიპყრო



მოპსის სახელად ბანდიტოს და კატის სახელად ლუიჯის თავგადასავალმა ინტერნეტი დაიპყრო. ცხოველების ესპანეთში მოგზაურობას ინსტაგრამში მათი აკაუნტის ხელმომწერთა 25,5 ათასიანი აუდიტორია ადევნებს.

ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მათმა პატრონებმა სპეციალური ეტლი იყიდეს, რომელიც მოპსსაც მოეწონა და კატასაც. სწორედ ამ ეტლით მოგზაურობენ ისინი თავიანთ პატრონებთან ერთად.

კერძოდ, ბანდიტომ და ლუიჯიმ პატრონებთან ერთად მოინახულეს ესპანეთის ეროვნული პარკები, ასევე გაიარეს მომლოცველთა სახელგანთქმული გზა „წმინდა იაკობის გზა“.

ცხოველების პატრონების თქმით, კატა და მოპსი კარგად უგებენ ერთმანეთს და ამიტომ მოგზაურობა უპრობლემოდ მიმდინარეობს.

# ვოლიერიდან გამოქცეულმა ორანგუტანგმა დამთვალიერებლები შეაშინა



ფლორიდაში 18 წლის ორანგუტანმა ლუნამ გალიიდან თავის დაღწევა შეძლო და ზოოპარკის ტერიტორიაზე დასეირნობდა.

თავდაპირველად ცხოველი ხეებზე დაძვრებოდა, შემდეგ კი საინფორმაციო ტაბლოზე აძვრა.

აღსანიშნავია, რომ დამთვალიერებლები თავისუფლად მოსეირნე ორანგუტანის დანახვამ ისე შეაშინა, რომ ზოგიერთი შიშისგან აყვირდა. ზოოპარკის თანამშრომლებმა მათ სიმშვიდისკენ მოუწოდეს და შემდეგ მათი ევაკუაცია განახორციელეს.

თავად ცხოველი სპეციალური საშუალებით დააძინეს, რის შემდეგაც ვოლიერში დააბრუნეს.

საბოლოოდ ზოოპარკის არც ერთი თანამშრომელი და დამთვალიერებელი არ დაზარალებულა. აქამდე ისევ უცნობია, თუ როგორ მოახერხა ორანგუტანმა ვოლიერიდან გამოსვლა.

# ავადმყოფი ძაღლი წიგნის გმირად იქცა




ავადმყოფი ძაღლი სახელად გონკერი, რომელმაც 180 კილომეტრის გავლა შეძლო, წიგნის გმირი გახდა.

ამერიკელმა ფილდინგ მარშალმა ძაღლი, ოქროსფერი როტვეილერი 1991 წელს, თავისი პატარა ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ აიყვანა. ბავშვმა გულის ოპერაცია ვერ გადაიტანა. მალე მამაკაცი მეგობარმა ქალმაც მიატოვა, რომელმაც თავისი ნივთები ჩაალაგა და ისე წავიდა, რომ არც კი გამომშვიდობებია.

გონკერს ჰქონდა უიშვიათესი ენდოკრინოლოგიური დაავადება – ადისონის დაავადება, მას ყოველთვიური ინექცია ესაჭიროებოდა.

1998 წელს აპალაჩების ბილიკზე სეირნობის დროს ექვსი წლის ძაღლი დაიკარგა. მარშალი და მისი ახლობლები როტვეილერის ძებნაში ჩაერთვნენ და მის მოსაძებნად მათ 23 დღე ჰქონდათ, ეს ის ვადა იყო, სანამ ინექციის მოქმედების ვადა ამოიწურებოდა. დაკარგული ძაღლის ისტორიამ ადგილობრივი პრესის, შემდეგ კი ასოშეიტედ პრესის ყურადღება მიიპყრო. 15 დღის შემდეგ მარშალს პოლიციიდან დაურეკეს და აცნობეს, რომ ძაღლი მისი დაკარგვის ადგილიდან 180 კილომეტრში იპოვნეს. ამ დროში მას წონაშიც კი მოემატა. ამის შემდეგ გონკერმა კიდევ ხუთი წელი იცოცხლა და 11 წლის ასაკში მოკვდა.

ძაღლის პატრონის ნათესავმა პოლს ტუტონგმა გონკერის ძებნას წიგნი, სახელწოდებით დოგ გონე მიუძღვნა, რომელიც მიმდინარე წლის ივნისის პირველ რიცხვებში გამოიცა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არაერთი მოწვევის დეპუტატი, ცნობილი სამეურნეო ხელმძღვანელი, საქართველოსა და აფხაზეთის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთში საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილე, მრავალი სახელმწიფო ჯილდოების კავალერი

**რევაზ ბიქტორის ძე სიჭინავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


## TV პროგრამა

**სამშაბათი 5 ივლისი**

**07.30** დ/ფ "ფოტოხელოვნება" – პიკტორეალიზმი **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.50** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "როდესაც მეფეები ვიყავით" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** მხ/ფ "**რეალობა იკბინება**" (ი.ჰოუკი) **22.50** მხ/ფ "**ველური მდინარე**" (მ.სტრიპი) **01.00** დ/ფ " ჯეიმის კერძები 30 წუთში" **01.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **02.00** "პირადი ექიმი" **03.00** დ/ფ "როდესაც მეფეები ვიყავით"

**08.00, 12.00, 14.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ამფორების გზა" **13.00** დ/ფ "კოდის კონცხი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **2** სერ. **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცოდნა ფულია **23.20** გრიფით საიდუმლო **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **00.45** მხ/ფ "**წითლები**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 03.15** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **15.00** შუადღე **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **00.00** სერ. "**საშინელი ზღაპრები**". **01.30** მხ/ფ "**გაუჩინარება**"

**06.10** სპექტაკლი "**ბედი ქართლისა**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.25** დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" **11.30** ერთი წვეთი **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" I სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ნოლინა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ტელე ზღაპარი "დედა" **15.50** დ/ფ "მენელსაცხებლე დედები" **16.20** კონცერტი **17.15** მგზავრები წუთისოფლისა **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ. მხ/ფ "**წყარო გზის პირას**" **20.00** ღია აუდიტორია **20.30** ამბიონი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დიდ ხარ შენ უფალო **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00, 19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


5 ივლისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3093 |
| ევრო | 2.5661 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0737 |
| 100 რუსული რუბლი | 3.5989 |

**ამინდის პროგნოზი 5 ივლისისთვის**





## 5 ივლისიდან



ალექსანდრე დიუმა

**დედოფალი მარგო**

*მთელი რომანი ერთ წიგნში*

მაგარი ყდა, 662 გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**


## იუმორი



•••

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს საბუთებს მოსთხოვს.

– რად გინდა? – ეკითხება მძღოლი.

– პარლამენტში უნდა მოგაწყო სტაჟირებაზე...

•••

კაცი მატარებლით მგზავრობს და ზედა საწოლზეა წამოწოლილი. ამ დროს კუპეში სამი ქალი შემოვა და საუბრობენ. ერთი ეუბნება დანარჩენებს:

– გამიგია, რომ სექსში ყველაზე მაგრები მეზღვაურები არიან.

მეორე ეუბნება:

– მე კი გამიგია, რომ ყველაზე მაგრები სპორტსმენები არიან.

მესამე არ ეთანხმება:

– მე კი ვიცოდი, რომ ინდიელებს ვერავინ შეედრება.

ამ დროს მამაკაცი ჩამოხტება და ქალებს მიმართავს:

– ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ: ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, კაპიტანი ჩინგაჩგუკი.

•••

სოფლელს ეკითხებიან:

– ის კაცი ხომ შენი ნათესავია?

– კი, მარა – შორეული.

– მაინც როგორი?

– 12 და-ძმა ვიყავით. მე პირველი დავიბადე, მაგი – ბოლო.

•••

კაცი ტაქსით მიდის ქორწილში, მაგრამ მძღოლს ძალიან ნელა მიჰყავს მანქანა. ბოლოს კაცმა ველარ მოითმინა და ეუბნება:

– ასე თუ იარე, ძამა, მგონი, ბავშვის ნათლობასაც ვერ მივუსწრებ.

•••

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლ ქალს ეუბნება:

– ქალბატონო, ღვედი რატომ არ გაქვთ შეკრული?

– ღვედი კი არა, ისეთი სიცხეა, ლიფიც კი გახსნილი მაქვს...

•••

აბანოს ქალთა განყოფილებაში მამაკაცი შევიდა. ქალები უყვირიან:

– ეი, შენ, სად მოდიხარ?! ეს ქალების განყოფილებაა, ვერ ხედავ?! კაცების განყოფილებაში უნდა მიხვიდე!

– კაცების განყოფილებაში რა მინდა, ცისფერი კი არ ვარ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 6 ივლისიდან

ვლადიმერ ნაბოკოვი

**ლოლიტა**




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## ფერნანდო ტორესი ატლეტიკოში რჩება



ფერნანდო ტორესი, რომელმაც საფეხბურთო კარიერა მადრიდის ატლეტიკოში დაიწყო, სავარაუდოდ თავის მოღვაწეობას ფეხბურთში აქვე დაასრულებს.

ტორესმა ატლეტიკოსთან ახალ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, ის კლუბს აღარ შეიცვლის.

ფერნანდომ განაცხადა, რომ ბედნიერია ახალი კონტრაქტით და შეეცდება, გუნდის ნდობა ბოლომდე გაამართლოს.

გასული სეზონის მეორე ნახევარი ტორესმა ძალიან კარგად ჩაატარა და ბევრი მნიშვნელოვანი გოლის გატანა შეძლო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ატლეტიკოს ხელმძღვანელობამ მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება.


## 7 ივლისიდან




**გაბრიელ გარსია მარკესი**

**გენერალი თავის ლაბირინთში**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ჰიდინკი შეიძლება ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გახდეს



მას შემდეგ, რაც როი ჰოჯსონმა თანამდებობა დატოვა, ინგლისის ნაკრები კვლავინდებურად მწვრთნელის გარეშეა. არსებობს რამდენიმე კანდიდატურა და ერთ-ერთი მათგანი ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი გუუს ჰიდინკია, რომელთანაც ინგლისის საფეხბურთო ფედერაცია მოლაპარაკებებს აწარმოებს.

ჰოლანდიელ მწვრთნელს თვითონაც აქვს სურვილი, რომ ინგლისის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. ამის გამო ჰიდინკმა რამდენიმე კლუბი უარითაც გაისტუმრა.

გუუს ჰიდინკს თავის დროზე არაერთ ცნობილ გუნდში უმუშავია, მათ შორის ჩელსიში, ამიტომ ინგლისურ ფეხბურთს ის კარგად იცნობს. ადვილი შესაძლებელია, ჰიდინკი ინგლისის ნაკრების მწვრთნელად უახლოეს მომავალში ვიხილოთ.

## დევიდ და ვიქტორია ბექჰემებმა დაქორწინების 17 წლისთავი აღნიშნეს



დევიდ და ვიქტორია ბექჰემებმა ერთმანეთს დაქორწინების 17 წლისთავი ინსტაგრამში მიულოცეს.

როგორც დევიდმა განაცხადა, მას გაუმართლა, რომ შეხვდა ისეთ ადამიანს, რომელსაც ისეთივე მისწრაფებები ჰქონდა და ისეთივე მიზანდასახული იყო, როგორც თავადაა და რომ მას ცხოვრებიდან იგივეს მიღება სურდა, რისი სურვილიც თავად ჰქონდა.

– ჩვენ ოთხი შესანიშნავი ბავშვი შევქმენით და მათთვის შენზე უკეთეს და მზრუნველ დედაზე ვერც კი ვიოცნებებდი, – დაწერა თავის მისალოც წერილში ინსტაგრამში ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა.

თავის მხრივ ვიქტორიამ მეუღლეს თავისი საუკეთესო მეგობარი და სიყვარული უწოდა.

– ყველაზე კეთილი ადამიანი, რომელსაც ყოველდღე აღფრთოვანებაში მოვყავარ. დაქორწინების წლისთავს ვულოცავ მსოფლიოში საუკეთესო მეუღლეს და მამას! – დაწერა ვიქტორიამ.

## დენის სუარესი ოფიციალურად ბარსელონას ფეხბურთელია



ბარსელონამ დაადასტურა, რომ ვილიარეალის შემტევი ნახევარმცველი დენის სუარესი მომავალ სეზონში კატალონიური გუნდის მაისურს მოირგებს.

ბარსელონას სუარესის გამოსყიდვის უფლება ჰქონდა, ამიტომ ეს ტრანსფერი კატალონიელებს სულ რაღაც 3 მილიონი ევრო დაუჯდათ.

დენის სუარესი ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ნახევარმცველად ითვლება და ვილიარეალის თამაშიც მასზე იყო აწყობილი.

სუარესი უკვე ბარსელონაშია და მისი პრეზენტაცია 6 ივლისს არის დაგეგმილი. სავარაუდოდ, ის გუნდთან 4 წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, ხოლო მისი გამოსასყიდი თანხა 50 მილიონი ევრო იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ინდოეთში ძროხების „ცხელი ხაზი“ გაიხსნა



ინდოეთის შტატ ჰარიანში 24 საათიანი „ცხელი ხაზი“ გაიხსნა, რომლის ინიციატორიც ადგილობრივი პოლიციაა.

მოქალაქეებს შეუძლიათ ახალ სამსახურს აცნობონ ძროხების კონტრაბანდის ან მათ დაკვლასთან დაკავშირებით ინციდენტების თაობაზე. მიღებული ინფორმაცია რეაგირებისთვის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცემათ.

შეგახსენებთ, რომ ძროხები ინდუიზმში წმინდა ცხოველებად არიან აღიარებულნი. 2015 წელს შტატში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც ძროხის დაკვლა 10 წლიანი პატიმრობით ისჯება. ასევე აკრძალულია ძროხების უკანონო გადაყვანა და საქონლის ხორცის ჭამა.

შტატში მოქმედებს რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ძროხების დაცვით არიან დაკავებულნი. კერძოდ, ისინი პოლიციელებთან ერთად პატრულირებენ გზებზე და ეძებენ იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებითაც ძროხების უკანონოდ გადაყვანა ხორციელდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზედამხედველი გერმანიის უნივერსიტეტებში ძველად; 2. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 3. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 5. საცხენოსნო შეჯიბრება; 6. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. ისრაელის პარლამენტი; 14. ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“-ს პერსონაჟი; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

**თარაზულად:** 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც სამაშველო ნავებია განლაგებული; 7. უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს; 9. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 10. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული კომპანია; 17. მობილური კავშირგაბმულობის სისტემა საქართველოში; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 21. ცხვრის ხორცით მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 22. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




ლურჯი წითელი ყვითელი შავი